პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და ცენტრ. ღვ. საბ.
ყავის ორგანო

რედაქცია: თბილისი, [illegible] № 4. მე-3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—53

ხელის მოწერის თვიური ფასი საქართველოში 450.000 მ. განცხადება—70.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2 მილ. მ.

№ 78 შაბათი, 7 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 0.000 მან. № 78

დღეს

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა საგრძნობლად უმჯობესდება.

ბერლინში გარდაიცვალა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადი მარტოვი.

აღმოსავლეთ რუმელიაში მოხდა აჯანყება რუმინიის მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყების დროს მოჰკლეს 50 კაცი.

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარმა დაიკავა ახალი ქალაქი მანჰეიმი და მით საოკუპაციო ზონა კიდევ უფრო გაფართოვდა.

ლოზანაში გასაგზავნ საბერძნეთის დელეგაციის მეთაური იქნება ვენიზელოსი.

ხარკოვში გაიხსნა უკრაინის კომპარტიის კონფერენცია.

გაზეთის შემდეგი №-ი გამოვა ოთხშაბათს 11 აპრილს

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ

კონტორიდან

გაზეთების გამომცემლობებთან შეთანხმებით აპრილის თვეში წესდება შემდეგი ტარიფი განცხადებებზე.

მე 4-ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—70000 მ. 1-ლ და მე-2-ე გვ. ფასი სტრიქონზე ნონპარელი—140000 მან. განმეორებით არა ნაკლებ 5-ჯერ 5 პროცენტის დაკლება, და არა ნაკლებ 10-ჯერ 10 პროცენტის დაკლება.

თეატრალური 60 სტრიქონამდე 20 პროცენტის დაკლებით, 60 სტრიქონზე მეტი კი ნორმალური ტარიფით.

სამგლოვიარო განცხადებები არა უმეტეს 30 სტრიქონისა—2 მილ. მანეთი. საქმიო არა უმეტეს 5 სტრიქ.—3 ნახევარი მილ. მ. თვეში, 5 სტრიქონზე მეტი კი ფასდება როგორც შრომის მიწოდება. 3—1

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 24, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—4

შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სახალხო სახლში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგშია მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ და საშინაო საკითხი.

პრეზიდიუმი.

(ერ. 801—2—1)

„აღდგომა“

არაჩვეულებრივ პირობებში ტარდება წრეულს „აღდგომის“ დღესასწაულები.

გაჩაღებულმა ანტისარწმუნოებრივმა კამპანიამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა ხალხის პსიქოლოგიაში. მას [illegible], ის ათავისუფლებდა იმ ცრუ წარმოდგენებისა და [illegible], რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში უნერგავდნენ, მას ეკლესიის მსახურნი და ბნელეთის ყველა მოციქულები.

მრავალი ეკლესიები ხალხმა თვით დახურა და გადააქცია კლუბებად, სამკითხველოებად და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებად.

და ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ისეთი სურათი, რომ რელიგიური ცრუმორწმუნეობიდან განთავისუფლებული ხალხი გამოცხადდება ყოფილ ეკლესიებში არა „უზენაესისადმი“ ლოცვის აღსავლენად, არამედ მოსასმენად მოხსენებისა რელიგიის სიყალბის და სიცრუის შესახებ, საეკლესიო ორგანიზაციის და სამღვდელოების რეაქციონური და მშრომელი მასსის დამჩაგვრელ-დამმონებელ ბუნებისა და როლის შესახებ, ან კიდევ დაესწრება კლუბებად და თეატრებად გადაკეთებულ საეკლესიო შენობებში გამართულ საზეიმო წარმოდგენებს ესტეტიურ სიამოვნების განსაცდელად. აქ ხალხი ერთმანეთს მიულოცავს არა „ქრისტეს აღდგომას“, არამედ თავის შემეცნების გამოფხიზლებას, თავის გონების განათებას თავის სულიერ განთავისუფლებას რელიგიური ბურუსის ტყვეობიდან.

მაგრამ მიუხედავათ ხალხის დიდი ნაწილის შედგომისა რელიგიის სფეროშიც გამოფხიზლების გზაზე, მაინც ჯერ კიდევ დიდია ძალა კონსერვატიზმის, ს უკუნეობრივი ტრადიციის.

რელიგიური დღესასწაულების ჩატარებასაც ჩვენს დროში მეტ წილად ტრადიციის ხასიათი აქვს.

მშრომელი მასსის დიდი ნაწილისათვის საეკლესიო დღესასწაული უკვე აღარ არის რელიგიური გრძნობის გამოხატულება, არამედ მრავალ ხნობით შესისხლხორცებული უბრალო ჩვეულებაა. ხალხური ანდაზა ამბობს: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და მართლაც მეტად ძნელია მისი დაძლევა. შორეულ წარსულიდან გადმოცემული ჩვეულებები და ტრადიციები შეუცნობლობად ხშირად დირიჟორებენ ჩვენს დღევანდელ მოქმედებას, თუმცა მათი გამომწვევ პირვანდელ მოტივებს დაკარგული აქვთ ჩვენთვის მნიშვნელობა.

საბჭოთა ხელისუფლება უაღრესი სიფრთხილით ეკიდება ხალხის პსიქოლოგიას, ანგარიშს უწევს მის ტრადიციებს და ჩვეულებებს, და ამიტომაცაა ის უშვებს ამ დღესასწაულებს.

ჩვენს გაზეთში ცნობები იყო მოთავსებული, რომ მუშათა ზოგიერთ ორგანიზაციებმა არ მოისურვეს გამოეყენებიათ ამ დღეების უქმად გატარების შესაძლებლობა, რომელიც მიანიჭა ხალხს მთავრობამ, და დაადგინეს განაგრძონ „აღდგომის“ დღესასწაულებში ჩვეულებრივი მუშაობა

ამ მუშაობის ხელფასი, პროფკავშირთა საბჭოს მოწოდების თანახმად, წავა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ.

ფრიად მნიშვნელოვანია ეს დადგენილება, როგორც მაჩვენებელი მასსის გათვითცნობიერების და გამომხატველი პროლეტარული სოლიდარობის.

ჯერ ჯერობით მიღწეული შედეგებით ანტირელიგიურ კამპანიის სფეროში ჩვენი პარტია და მუშათა კლასი სავსებით კმაყოფილი უნდა იყოს

მაგრამ აწი გაცილებით უფრო მეტია გასაკეთებელი.

კულტურული რევოლიუციის მოხდენა, ხალხის საბოლოო განთავისუფლება ცრუ მორწმუნეობიდან, მისი ზიარება მეცნიერულ ცოდნას, ერთი და ორი დღის საქმე არ არის. ამისათვის საჭიროა წლები და ათეული წლები; ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი გეგმაშეწონილი სისტემატიური მუშაობა.

შემდეგშიც აქეთკენ უნდა იყოს ჩვენი ენერგია მიმართული.

ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ხალხის შემეცნებიდან რელიგიური ცრუმორწმუნეობის ნაშთები.

„აღდგომის“ დღესასწაული ერთხელ კიდევ გვაგონებს ჩვენს ვალდებულებას სულიერად დაჩაგრულ ხალხის წინაშე. ის ერთხელ კიდევ გვაგრძნობინებს ხალხის კულტურულ გათვითცნობიერების დარგში, ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანის რაც შეიძლება მალე გადაჭრის აუცილებლობას.

და იჭვი არ არი, რომ ჩვენ კიდევ შევძლებთ ამ ამოცანის სავსებით შესრულებას.

კოოპერაცია სოფლად

სასოფლო მეურნეობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების დროს კოოპერაციამ უნდა ითამაშოს უდიდესი როლი, სოფლის კოოპერატივები უშუალოდ უნდა დაუკავშირდენ გლეხობას, ხელმძღვანელობა გაუწიონ მეურნეობის ახალ საფუძველზე მოწყობას, მათ უნდა შეაკავშირონ მწარმოებელი გლეხობა ერთის მხრივ მიაწოდონ მას როგორც სამეურნეო იარაღები, და ყოველგვარი საჭირო მასალა მეურნეობის სხვადასხვა მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად, საყარგისი თესლეულობა და საზოგადოდ ყოველგვარი დახმარება მიეცეს შრომის ნაყოფიერების ასაწევად, აგრეთვე მეორე მხრივ კოოპერატივებმა უნდა მოაწყონ სოფლის ნაწარმოებთა გასაღების, ბაზარზე გაყიდვის საქმე. სოფლის ნაწარმოებანი, როგორიცაა აბრეშუმი, მატყლი, ღვინო, პური, ლობიო და სხვა არ უნდა ჩაუვარდეს ხელში სპეკულიანტებს, არამედ ისინი უნდა გროვდებოდეს კოოპერატივებში და საჭიროებისდამიხედვით მათი საშუალებით ან სახელმწიფოს ხელში გადავიდეს გაცვლის გზით, ან კერძო ბაზარზე უნდა იქნან გატანილი გასასყიდლათ საქართველოში მეურნეობას უკანასკნელ დრომდე ჯეროვანი ყურადღება არ ქონდა მიქცეული, მეურნეობის ქვეყანაში თითქმის სრულებით არ არსებობდა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებები და თუ რომლებიც არსებობდენ, მათი მოქმედების ასპარეზი მეტად შემოზღუდული იყო. სოფლად საკრედიტო ამხანაგობების და კოოპერატივების დაარსებიდან უკანასკნელები რამოდენიმეთ ასრულებდენ ამ საზოგადოებათა ფუნქციებს.

დღესაც შეუძლებელია საკმაოთ მომზადებულ პირთა უყოლობის გამო ცალკე სამეურნეო საზოგადოებების დაარსება **ყველგან**, და უკანასკნელთა როლი აუცილებლათ უნდა იკისრონ მთლიან მუშათა კოოპერატივებმა.

იქ, სადაც უკვე სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები არსებობენ, ამ როლს ისინი შეასრულებენ და სადაც ასეთები არ არის, იქ მთლიანმა მუშათა კოოპერატივებმა უნდა აიღონ თავის თავზე დროებით მეურნეობის განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმე.

საქართველოში არის ნიადაგი სასოფლო კოოპერაციის განვითარებისათვის, სოფლის სხვადასხვა ნაწარმოებთა დამზადება საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში უკვე ფართო მასშტაბით სწარმოებს როგორც მაგ. გურია სამეგრელოში აბრეშუმის პარკი, დუშეთის მაზრაში მატყლი, კახეთში ღვინო და სხვა. არსებობენ ამ ნაწარმოებთა დამამზადებელი ამხანაგობებიც, მაგრამ საჭიროა სასოფლო მეურნეობის აყვავების მიზნით მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ამუშავდეს კოოპერაცია და აგრონომიულ პერსონალთან ხელჩაკიდებული შეუდგეს მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეს სამეურნეო იარაღების მიწოდებით, აგრონომიულ ცოდნათა გავრცელებით, სოფლის ნაწარმოებთა დამზადებით, მოგროვებისა და მათი ბაზარზე განაღდებით.

საბჭოთა რუსეთში სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია აერთიანებს 3 ნახ. მილიონ გლეხურ მეურნეობას.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მეთერთმეტე ყრილობამ და სრულიად რუსეთის საბჭოთა მეათე ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქციეს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობას და ცენტრალური ორგანოები უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან უკანასკნელს, უწევენ რა მას ყოველგვარ დახმარებას.

ბუნებრივია, რომ სასოფლო კოოპერაციაც საქართველოშიც უდიდეს როლს ითამაშებს მიუხედავათ იმისა, იქნება ისინი ცალკე გამოყოფილი, თუ როგორც შემადგენელი ნაწილი საერთო კოოპერაციისა. კოოპერაცია მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს სოფელს, გვერდში ამოუდგეს მიწის მუშას, მწყობრი რაზმები შეადგინოს მათგან, შეერთებული ძალით შეუდგეს მეურნეობის გამოცოცხლების საქმეს. დადგა გაზაფხული, იწყება ყანების და ვენახების დამუშავება, მეაბრეშუმეობის სეზონი; კოოპერატივებმა ყველგან თავისი წვლილი უნდა შეიტანონ, ფხიზლად უნდა იდგნენ მეურნეობის სადარაჯოზე, და ყოველ მის მორიგ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ თავის დროზე იღებდენ შესაფერ ზომებს.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე სოფლის კოოპერატივებს უდიდესი როლი აქვთ დაკისრებული, რომელიც მან პირნათლად უნდა შეასრულოს. ამით კოოპერაცია უდიდეს სამსახურს გაუწევს მეურნეობის აღორძინებას და საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს.

ბ.

ლ. მარტოვი

(იული ოსიპისძე ცედერბაუმი).

რადიოს ცნობით, ბერლინში გარდაიცვალა ერთი უძველესი და უნიჭიერეს ბელადთაგანი რუსეთის მენშევიზმის, ფართოდ ცნობილი ინტერნაციონალურ სოციალ დემოკრატიაშიაც, ლ. მარტოვი (იული ოსიპისძე ცედერბაუმი).

რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობით ისედაც შეთხელებულ, შეიძლება ითქვას, თითქმის მთლად დაშლილ ამ მუდამ მერყევი პარტიის რიგებს, საზღვარგარედ მის შემორჩენილ „კუნძულს“ უჯარო გენერლებისას, სწყდება მოღვაწე, რომლის იდეიურ-პოლიტიკური გავლენა შედარებელი იყო მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიაში. მენშევიზმის დიდ ბელადთა შორის მას ეკავა განსაკუთრებული ადგილი, როგორც მატარებელს ნათელი აზრისა და გამჭრიახე გონებისას, სამწუხაროთ, **მხოლოთ იმ ფარგლებში**, რომელიც შეეფერებოდა ხანას ბურჟუაზიული რევოლიუციებისა და გამოიატაიდა ასე ვსთქვათ კლასიკურ პერიოდს ოფიციალური სოციალ-დემოკრატიის განვითარების ისტორიაში საერთაშორისო მასშტაბით. პარტია, რომელიც ვერ გასცილებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მესამოცე წლების ტაქტიკურ სხემებს უმწეო გამოდგა პროლეტარული რევოლიუციის ქექა ქუხილში, მას დაეკარგა მასშტაბი ახალი ხანის დიდი მოვლენების გაზომვათ და შესაფასებლათ. დაეკარგა, ვამბობთ ჩვენ, რამდენადაც სიტყვით ხშირათ მის ხელმძღვანელებს სურდათ გამოსულიყვნენ მოციქულებათ რევოლიუციონური მარქსიზმის ეს იყო შედარებით შორეულ წარსულში, იმ დროს როდესაც კომუნიზმის დღევანდელ მეთაურებთან ერთად ძირითადი ჯგუფი მომავალი მენშევიკების და პირადათ თვით მარტოვი მუშაობდა „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირში“ და შემდეგ კი „ძველ ისკრაში“. დრომ განვლო. წვრილ ბურჟუაზიულმა სტიქიამ შური იძია იმ თეორეტიულ დამარცხებისთვის, რომელიც მას მოუტანა [illegible] გამოკვეთილმა პროლეტარულმა იდეოლოგიამ, მეცნიერულმა კომუნიზმმა, მის სახით, და პირველი მსხვერპლი ამ შურისძიების შეიქნა ის ფრთა რევოლიუციონური ინტელიგენციის, რომლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ძველ სოციალ-დემოკრატიაში იყო მარტოვი. ერთხელ დაქანებული ამ გზაზე მენშევიზმი ჩაგორდა ფსკერამდე, სადაც ბურჟუაზიულ რესტავრატორებთან ერთათ ხელიხელ ჩაკიდებული ის აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურისა და მის გამომხატველ „კომუნისტურ საბჭოების“ წინააღმდეგ. რისი სახელით და ვისთვის? კაპიტალიზმის აღსადგენათ და ბურჟუაზიისათვის.

კაპიტალისტური მონობის გამართლება გამწვავებულ კლასთა წინააღმდეგობის, სამოქალაქო ომის, ერთი სიტყვით პროლეტარული რევოლიუციის ხანაში შეუძლებელია მშრომელთა მილიონების წინაშე, ძველი ბურჟუაზიული იდეოლოგიური იარაღებით. საჭიროა უფრო მოქნილი, „დროის შესაფერისი“ ფანდები და სწორედ ამ ფანდების არსენალს წარმოადგენს მარტოვის მენშევიზმი. ეს იდეოლოგია, რომელიც გველინება „სოციალისტურ“ და ხშირად „რევოლიუციონურ“ სამოსელში არ არის ადვილი დასაძლევი. მის გავლენის ქვეშ არის დღის საგრძნობი ნაწილი ევროპის მუშათა კლასის.

ძლევამოსილი მსვლელობა პროლეტარული რევოლიუციის შეუძლებელია ამ იდეოლოგიის დაძლევის გარეშე. მშრომელთა დიდი საქმე იცოცხლებს და გაიმარჯვებს სწორეთ მისი სიკვდილითა და დამარცხებით. ფალსიფიკატი მარქსიზმის უნდა გამოჩნდეს, როგორც ასეთი. მათ ბურჟუაზიულ არსს უნდა ჩამოეგლიჯოს პირბადე „სოციალისტური“. აი ამოცანა პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდის. ამ მისწრაფებას ებრძოდა მარტოვი, ებრძვის კიდევ მენშევიზმი. საბრალო იყო ეს მუშაობა ყოფილი რევოლიუციონერის, რომელიც გაგრძელდა ორი ათეული წელი. ორი მსოფლიოს სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის ხანაში მარტოვი მოკვდა, როგორც ფაქტიური დამხმარე კაპიტალიზმის.

ნ.

მარტოვის მოკლე ავტობიოგრაფია

მე დავიბადე სტამბოლში 1873 წლის 24 ნოემბერს. მამა ჩემი მთელი რიგი წლების განმავლობაში მსახურებდა აღმოსავლეთში „რუსეთის გემთა და ვაჭრობის საზოგადოებაში“ და მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის ომმა აძულა ის დაბრუნებულიყო სამშობლოში. სტამბოლში ის ცხოვრობდა კოსმოპოლიტურ საზოგადოებაში; დედა ჩემი იყო ტომით ვენიდან და მხოლოდ შემდეგში შეისწავლა რუსული ენა. ამიტომ საოჯახო ენა ჩემთვის თხუთმეტ წლამდის იყო ფრანგული და ახალ ბერძნული (სტამბოლში ჩვენი მოსამსახურეთა ენა).

ლიტერატურასთან მე დაკავშირებული ვარ, ასე ვსთქვათ, დაბადებიდან. ჩვენი ოჯახის მამამთავარი, ჩემი ბაბუა ალექსანდრე ოსიპის ძე ცედერბაუმი (გარდაიცვალა 1893 წელში) ებრაელთა ცნობილი საზოგადო მოღვაწე—იყო რუსეთში ებრაელთა პირველი გაზეთების დამაარსებელი. ასეთები იყვნენ—რუსულად „რიგრაჭი“, ძველ ებრაულად „გამელიცა“, ხოლო უკვე ოთხმოციან წლებში—ჟურნალი „ფოლკსბლატი“. [illegible] რა 80 წლიან ებრაელ განმანათლებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი, ის ახალგაზრდობისას გაიქცა შინაურ მეტლოდიდან და თავისი არაჩვეულებრივი ენერგიით შექმნა თავისი უზრუნველყოფილი მდგომარეობა.

სწორედ ამიტომ ლიტერატურული, და განსაკუთრებით, ჟურნალისტური ინტერესებით იყო გამსჭვალული ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე ჩემი ცხოვრების პირობები. მამაჩემიც რამოდენიმე ხანს ჩაება ჟურნალისტიკაში, როგორც მცოდნე აღმოსავლეთის საკითხისა და ითვლებოდა „პეტერბურგის უწყებების“ და მაშინდელ დროის მიხედვით, ლიბერალურ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტათ. შემდეგ ის ეხმარებოდა თავის მამას ებრაულ გაზეთის რედაქტორობაში. დაბოლოს, მისი ძმა ექიმი ადოლფ ცედერბაუმი, რომელიც დიდ ხანს გერმანიაში სცხოვრობდა, ცნობილია როგორც ტურგენიევის ნაწარმოებთა მთარგმნელი გერმანულ ენაზე.

ამნაირად „მეგაზეთეობის“ ხელობა თავიდანვე ჩემს სისხლში იყო ჩაწვეთებული.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტინი № 19).

მოსკოვი, 6 აპრილი. **ტემპერატურა 36,8. პულსი—96, სუნთქვა—24, კატარრალური მოვლენები ფილტვების მხრივ მნიშვნელოვნად შემცირებულია. საერთო მდგომარეობა უმჯობესდება.**

მოსკოვი—5 აპრილი, ნაშუადღევის 4 საათი.

პროფესორები: კრამერი, ფიორსტერი, მინკოვსკი, ბუმკე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

მარტოვის გარდაცვალება

მოსკოვი. 6 აპრილი. მოსკოვში, 4 აპრილს ღამით მიღებულია დეპეშა რუსეთის მენშევიკების იდეურ ხელმძღვანელის მარტოვის გარდაცვალების შესახებ. მარტოვი გარდაიცვალა ბერლინში.

ტროცკი და რადეკი მარტოვის შესახებ

მოსკოვი. 6 აპრილი. მენშევიკების ლიდერის მარტოვის სიკვდილის გამო ამხ. რადეკი „იზვესტიებში“ სწერს: „ცნობამ მარტოვის სიკვდილის შესახებ ღრმა მწუხარება გამოიწვია მენშევიკურ პარტიის წრეებში, სადაც გარდაცვალებული უნიჭიერესი წინამძღოლი იყო. რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატის წრეებში ეს ცნობა გამოიწვევს მოგონებებს იმ ათეულ წლებზე, რომელთა განმავლობაში რევოლიუციონური პროლეტარიატი წვრილ ბურჟუაზიის გვერდში იბრძოდა, როდესაც უკანასკნელ რევოლიუციონურ როლს თამაშობდა. მარტოვის ტრაგედია არის ტრაგედია წვრილ ბურჟუაზიის რევოლიუციონერისა, რომელიც დაკავშირებული იყო მასთან მთელი თავის არსებით. ობიექტიურათ მარტოვი დაკავშირებული იყო ოდესღაც რევოლიუციონურ ინტელიგენციისა და პროლეტარიატის იმ ნაწილებთან, რომლებსაც არ შეეძლო ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტა, სწორეთ წვრილ ბურჟუაზიულ სულიერ განწყობილების წყალობით“.

მარტოვის მშვენიერ დახასიათებას იძლევა ტროცკი, რომელიც აღნიშნავს, რომ არც ერთი მწერალი არ სარგებლობდა მარქსით რევოლიუციონურ [illegible] ფალსიფიკაციისათვის ისე შორს, როგორც მარტოვი.

მარტოვის საფლავზე—ყველაზე უფრო გულწრფელ, უანგარო რევოლიუციონერის საფლავზე ოდესღაც რევოლიუციონურ წვრილ ბურჟუაზიის ბანაკში, რომელთანაც ერთად რუსეთის პროლეტარიატმა თავისი გზის ერთი ნაწილი განვლო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: „მშვიდობით სამუდამოთ! არასდროს აწ რუსეთის პროლეტარიატი არ გაჰყვება იმ პარტიას, რომლის ნიჭიერ, ერთგულ ბელადს მარტოვი წარმოადგენდა“.

რურის ოლქის ოკუპაცია

ოკუპაციის გაფართოება.

პარიზი. 6 აპრილი. საფრანგეთის ჯარების მიერ ოკუპაცია გაფართოვდა ქ. მანგეიმის მიდამოებამდე.

ახალი მადაროების დაკავება.

პარიზი. 6 აპრილი. რურის ოლქში საოკუპაციო ჯარებმა დაიკავეს „ჰერმანს გლიუკის“, „ვალტროპის“ და „ქენიგ ლიუდვიგის“ კოქსის მადაროები. დაკავება მოხდება რეკვიზიების სახით კოქსის მარაგის აღმოჩენის გამო.

კიდევ ერთი ვარაუდი.

ბერლინი 6 აპრილი. გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ შეიძლება ინგლისმა, ბელგიამ და იტალიამ მიაღწიონ შეთანხმებას იმ ეკონომიურ მინიმუმის საკითხზე, რომელიც უნდა მოეთხოვოს გერმანიას რურის ოკუპაციის დასამთავრებლად. მინიმუმი ვარაუდობს გერმანიის გადასახადთა საერთო ჯამს 50 000 მილ. ოქროს მარკ., რომელიც დაიფარება საზღვარგარეთის სესხით. 26 მილ. მარკ მოხმარდება საფრანგეთის აღდგენას 24 მილ. ოქროს მარკა მოხმარდება საერთაშორისო ვალების დაფარვას. გაზეთი აღნიშნავს დაბრკოლებას ამ საკითხში საფრანგეთის მხრივ, რომელიც მოითხოვს თავის უშიშროების გარანტიას. გერმანიის პოლიტიკური წრეები სკეპტიკურად უცქერიან ამ ვარაუდს, და სთვლიან მას საფრანგეთის ცდათ გავლენა მოახდინოს ინგლისის პოლიტიკურ წრეებზე. აღნიშნული წრეები ფიქრობენ, რომ საფრანგეთის გეგმა რურიდან ჯარების თანდათანობით გაყვანის შესახებ გერმანიისათვის მიუღებელია. ისევე, როგორც მიუღებელია ავტონომიურ რეინლანდის დაარსება, რაც გერმანიის სუვერენიტეტის დარღვევას ნიშნავს.

ესსენის ამბები

სისხლის ღვრა კვლავ მოსალოდნელია.

მოსკოვი. 6 აპრილი. საფრანგეთის კომუნისტური გაზეთი „იუმანიტე“ სასტიკად კიცხავს ესენში საფრანგეთის ჯარების საქციელს და ამბობს, რომ ახალი სისხლის მღვრელი შეტაკებები მომავალშიც მოსალოდნელია.

გერმანიის პროტესტი.

მოსკოვი. 6 აპრილი. გერმანიის მთავრობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა ესენში მომხდარ სისხლის ღვრის და მუშების დახოცვის გამო.

გაზ. „როტე-ფანე“ ესსენის ამბების გამო.

პარიზი. 6 ივლისი. გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანო „როტე-ფანე“ აცხადებს, რომ კრუპის **ქარხნების მუშათა საბჭოს კომუნისტურმა ფრაქციამ უარი განაცხადა საბჭოს იმ განცხადების ხელის მოწერაზე, რომელიც ესსენის ამბების მთელ პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთს აკისრებს.** გაზეთი ამბობს, რომ გერმანელი ნაციონალისტებიც დამნაშავენი არიან ეროვნულ შუღლის გაღვივებაში.

რუსეთის ცნობის გარშემო

თემთა პალატაში.

მოსკოვი. 6 აპრილი. ინგლისის თემთა პალატაში კონსერვატორმა მოითხოვა, რათა მთავრობამ გააკეთოს მოხსენება თავის პოლიტიკის შესახებ რუსეთის ჰააგის მოლაპარაკების შესახებ. კონსერვატორმა სთქვა: „შესაძლებელია, რომ საბჭოთა მთავრობა კრედიტების მიღების შემდეგ გავლენას მოახდენს კომინტერნს ბრიტანეთის ინდოეთში პროპაგანდის შეწყვეტის მხრივ. პალატის მეორე წევრმა მორელმა სთქვა, რომ რუსეთის საელჩოების უყოლობა ხელს უშლის ინგლისის მრეწველობას. ინგლისმა, მისი სიტყვით, შეიძლო იმ სესხის დიდი ნაწილის 100 მილიონი გირვ. სტერლ. გარანტიის მიცემა, რომელიც რუსეთს სჭირდება რკინის გზების აღსადგენად.

ტრეველიანმა განაცხადა, რომ არავითარი მიზეზი არა გვაქვს არ ვიცნოთ საბჭოთა რუსეთი. ამას ხელს უშლის მხოლოდ პოლიტიკური ცრუმორწმუნეობა. მაკ ნეილის აზრით ინგლისის მთავრობა წამოაყენებს რუსეთის ცნობის შემდეგ პირობებს: ვალების ცნობა, კერძო საკუთრების აღიარება, განსაზღვრულ იურიდიულ კოდექსის დაწესება და პროპაგანდაზე უარის თქმა, ამასთანავე ამ პირობების შესრულების დროს, ინგლისის მთავრობა იძლევა გადაჭრილ აღთქმას იცნოს საბჭოთა მთავრობა.

დამოუკიდებელთა კონფერენცია

ინგლისის პარტიაში

მოსკოვი. 6 აპრილი. 1 აპრილს ლონდონში გაიხსნა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენცია. უოლხეჯმა განაცხადა, რომ ის არ არის თანახმა ინგლისის მთავრობის პოლიტიკისა საბჭოთა რუსეთის მიმართ. შოტლანდიის წარმომადგენლებმა შეიტანეს რეზოლიუცია, რომელიც გმობს რურის ოკუპაციას და მოითხოვს იქიდან ყველა საოკუპაციო ჯარების გაყვანას. რეზოლიუციაში შეტანილ იქნა შესწორება, რომელიც მოითხოვდა ყოველ შემთხვევაში ინგლისის ჯარების გაყვანას. [illegible] შეიტანა შეკითხვა ფიქრობს თუ არა კონფერენცია უარი სთქვას ფრანგებთან სოლიდარობაზე რურის საკითხში, დაარღვიოს ნეიტრალიტეტი და აიძულოს ფრანგები დასტოვონ რური. კონფერენციამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო ეს რეზოლიუცია შესწორებით. დიდი კამათის შემდეგ გავიდა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს უფრო მჭიდრო საერთაშორისო ორგანიზაციის მოწყობას და ესალმება 2 და 3 ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანებას. ბევრი დელეგატები პროტესტს აცხადებდენ კომუნისტების წინააღმდეგ გალაშქრების გამო და მოითხოვდენ ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან ჩამოშორებას. შესწორება, რომელიც მოითხოვდა 3-ივე ინტერნაციონალის კონფერენციის მოწვევას უარყოფილ იქნა 265 ხმით წინააღმდეგ 52-სა. კონფერენციაზე მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელსაც დაუშვებლად მიაჩნია პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა სტუმართ-მოყვარეობით სარგებლობა. რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ მეფე არ არის პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

სხვადასხვა ამბები

უნგრეთი.

უნგრეთი ცდილობს დაუახლოვდეს მცირე ანტანტას.

მოსკოვი. 5 აპრილი. ფინანსიურ კრიზის და უცხოეთის სესხის აღების შეუძლებლობის გამო, უნგრეთის პრემიერ ბეტლენს განზრახული აქვს დაუახლოვდეს მცირე ანტანტას. ბეტლენმა განიზრახა ამ მიზნით გაემგზავროს პრაგაში, ბუქარესტში და ბელგრადში.

იტალია.

ამხ. გრიკოს დატუსაღება.

მოსკოვი. 5 აპრილი, რომში დაატუსაღეს იტალიის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამხ. გრიკო.

საჰაერო ფლოტი.

რომი. 5 აპრილი გამოქვეყნდა დეკრეტი იტალიაში და მის ახალშენებში საჰაერო ფლოტის შექმნის შესახებ. მფრინავები ემორჩილებიან სამხედრო დისციპლინას.

„კლასთა თანამშრომლობა“.

მოსკოვი. 6 აპრილი. უკანასკნელი გამოსვლების და მუშათა შორის მღელვარების გამო, ფაშისტების და მრეწველთა კავშირის წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი, რომელზედაც დასდეს ხელშეკრულება კლასთა თანამშრომლობის შესახებ.

მუშები კიცხავენ.

მოსკოვი. 5 აპრილი. გაზ. „სტამპას“ თანამშრომლებთან საუბრის დროს იტალიელ რკინის გზელების კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა განაცხადა, რომ პროფკავშირმა უნდა ითანამშრომლოს ფაშისტურ მთავრობასთან და რომ სხვა გზა არ არსებობს. გაზეთი „ავანტი“ კი ყოველდღე ბეჭდავს იტალიელ რკინის გზელების საპროტესტო წერილებს ამ რეზოლიუციის ბელადების მოღალატეობის შესახებ, რომლებიც მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავენ. მუშები აცხადებენ, რომ ყოფილ ბელადებს უფლება არა აქვთ მუშების სახელით ილაპარაკონ.

გერმანია.

თავდაცვისაკენ მოუწოდებენ.

მოსკოვი. 5 აპრილი პოლიციის მიერ ტიურინგიის დაკავების გამო, გერმანიის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტმა მოუწოდა მუშებს პროლეტარული თავდაცვის შექმნისაკენ. მოწოდება აფრთხილებს მუშებს არ წამოეგონ პოლიციის პროვოკაციის ანკესზე. პოლიცია ტყვიისმფრქვეველების გარდა შეიარაღებულია აგრეთვე ბომბებით.

მექსიკა.

მექსიკის ნავთი.

ბერლინი. 5 აპრილი. „სტანდარტ ოილ კომპანიის“ დირექტორმა განაცხადა, რომ ნავთის ამოღება მექსიკაში მცირდება და ნავთის ზოგიერთი წყაროები სრულიად ამოიწურა.

ინგლისი

„დეილი გერალდი“ კათოლიკების პროცესის შესახებ.

მოსკოვი. 5 აპრილი. ინგლისური გაზეთი „დეილი გერალდი“ კათოლიკურ სამღვდელოების პროცესის შესახებ სწერს; „მოსკოვის სასამართლოს არ შეეძლო ანგარიში გაეწია ბრალდებულთა სარწმუნოებისათვის. ჩვენ არ ვეთანხმებით განაჩენს, სწერს გაზეთი, მაგრამ სინდისის თავისუფლება არ ანთავისუფლებს ადამიანს მოღალატეობისათვის სასჯელის მოხდისაგან. მთავრობის წრეების პროტესტები აიხსნება არა კაცთმოყვარეობის გრძნობით, არამედ კლასიური მიდრეკილებით.

პოლონეთი.

საფრანგეთი და მისი ვასალები.

ბერლინი. 5 აპრილი. ფრანგი გენერალი დიუპონი ვარშავიდან გაემგზავრა კრაკოვში, რუმინეთში და ჩეხო-სლოვაკეთში სამხედრო ინსპექციის გასაგრძელებლად.

ავსტრია.

ავსტრიის ფინანსები.

ბერლინი. 5 აპრილი. ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი ციმმერმანი პრაღაში იმყოფება, სადაც ის მოლაპარაკებას აწარმოებს ჩეხო-სლოვაკეთის პრემიერ ბენეშთან ავსტრიის ფინანსების გაჯანსაღების შესახებ.

მონარქისტების გამოსვლები ვენაში.

რომი. 5 აპრილი. ავსტრიის იმპერატორის კარლოსის გარდაცვალების ერთი წლის თავზე ვენაში იმპერატორის გვარეულობის წევრთა თანდასწრებით მონარქისტებმა პანაშვიდი გადაიხადეს. მონარქისტებმა გამართეს დემონსტრაცია.

საბერძნეთი.

სამხედრო მზადება.

მოსკოვი 5 აპრილი. საბერძნეთის ჯარის სარდალმა მისცა ყველა ბრძანება სამხედრო პირებს მზად იყონ. საბერძნეთის ფლოტი ჩანაკთან იყრის თავს. ამავე დროს საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა ბრძანება მისცა საზღვარგარეთ მყოფ ოფიცრებს დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ სამშობლოში. საბერძნეთის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს ჯარში კომუნისტური პროპაგანდის არ დასაშვებათ და სამხედრო სამართალში აძლევს აგიტაციაში შენიშნულებს. სახედრო მინისტრმა ბრძანება გასცა ჯარში ანტიკომუნისტური მოხსენებების და რეფერატების მოწყობის შესახებ.

შვეცია.

ერთიანი ფრონტი მუშების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 6 აპრილი. სტოკჰოლმის მუნიციპალურ საბჭოში სოციალ-დემოკრატებმა შეადგინეს ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიულ პარტიებთან კომუნისტების წინააღმდეგ.

ეშინიათ კომპარტიის გაძლიერების.

მოსკოვი. 5 აპრილი. უმუშევრობასთან ბრძოლის კომისიიდან 5 ბურჟუაზიულ პარტიების 4 წარმომადგენლის გამოსვლის და მათი ადგილის ოთხი სხვა ბურჟუა მოხელეების მიერ დაკავების გამო, გაზეთი „პოლიტიკენი“ მიუთითებს, რომ ბრანტინგის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ გაბედა კომისიაში მუშური წარმომადგენლობის გაძლიერება, რადგან ეშინია ბურჟუაზიასთან აშკარა პოლიტიკური ბრძოლის დაწყების და კომუნისტური პარტიის გაძლიერების.

ფინეთი

ბურჟუაზიის სისხლიანი დღესასწაული.

მოსკოვი 6 აპრილი. ფინეთში წითელი აჯანყების ჩაქრობის 5 წლის თავის გამო გამართულ დღესასწაულზე ჩამოვიდენ გერმანიის ექსპედიციის მაშინდელი ხელმძღვანელები, გენერალი (დამახინჯებულია) და ადმირალი მაუერი.

ჩეხო სლოვაკეთი.

ბენეში რუსეთის შესახებ.

მოსკოვი, 5 აპრილი. ჩეხო-სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბენეშმა ბრიუნში მოხსენება გააკეთა ჩეხო-სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ბენეშმა განაცხადა: „ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ რუსეთმა, რომელიც უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოა აღმოსავლეთ ევროპაში, თავისი არსებობით უზრუნველყოს ჩვენი არსებობა“. ბენეშმა სხვათა შორის სთქვა, რომ ჩეხო-სლოვაკეთი არ ერევა პოლონეთის და უკრაინის დავაში.

ბოლო რადიოგრამები

რუსეთი

სპარსეთის და რუსეთის მეგობრობა მტკიცდება.

მოსკოვი 5 აპრილი. თეირანში რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში, ამხ. შუმიაცკიმ გადასცა—მეჯლისის საზეიმო სხდომაზე სპარსეთის პარლამენტის დეპუტატებს სამადლობელი სიგელი კალინინიდან იმ ძმური დახმარებისათვის, რომელიც გაუწია სპარსეთმა ვოლგის მხარის დამშეულ გლეხებს. მეჯლისის თავმჯდომარემ დავაბარა შუმიაცკის, რათა უკანასკნელმა გადასცეს რუსეთის ხალხს, რომ ეს დახმარება გამოწვეული იყო რუსეთისადმი სპარსეთის ხალხის შეგნებული განწყობილებით. სიგელის გამოქვეყნების შემდეგ მეჯლისის დეპუტატებმა საზეიმო მანიფესტაცია გამართეს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს.

კომუნისტი პედაგოგები.

მოსკოვი 5 აპრილი. მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებელს ათავებს 117 კომუნისტი—პედაგოგი მათემატიკის და ფიზიკის დარგზე და 8 კომუნისტი—პედაგოგი ხელოვნების დარგზე.

სოციალურ დაზღვევის ახალი ტარიფი.

მოსკოვი 5 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭომ დააწესა 1 მარტიდან სოციალურ დაზღვევის ახალი ტარიფი დაქირავებულ შრომის პირთათვის. ახალი ტარიფის მიხედვით ყოველგვარ ხელფასისაგან გადაირიცხება 16—22 პროც. იმ დაწესებულებათა და წარმოებათათვის, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფოებრივ ბიუჯეტზე, წესდება [illegible] ტარიფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოში დაბრუნება

მოსკოვი. 5 აპრილი. ჩიტიდან იტყობინებიან, რომ გირინიდან სამშობლოში ბრუნდებიან 450-დე კაპელეგელები.

ლტოლვა რუსეთისაკენ

მოსკოვი. 5 აპრილი. ვლადივოსტოკის სოციალური დაზღვევის საგუბერნიო სამმართველოში თავს იყრიან მრავალი მოქალაქეები, რომელთაც სურთ გამგზავრება საბჭოთა რუსეთში. ამის გამო ვლადივოსტოკის სოციალური დაზღვევის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა, რათა რუსეთში გამგზავრების მსურველებს მიეცეს შეღავათი რკინის გზით მოგზაურობისათვის.

მიწათ-მოქმედების კონკურსი.

მოსკოვი. 4 აპრილი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულია მიწათ-მოქმედების სრულიად საკავშირო კონკურსის ორგანიზაციის პროექტი. კონკურსი უნდა მოეწყოს სრულიად რუსეთის გამოფენასთან ერთად ამ კონკურსზე უფრო ადრე უნდა მოეწყოს ადგილობრივი კონკურსები მაზრების და გუბერნიების მაშტაბით. შეჯიბრებებზე გამარჯვებულთ მიეცემათ მატერიალური პრემია.

პროლეტარული სატახტო ქალაქი.

მოსკოვი. 4 აპრილი. სრულიად რუსეთის საქალაქო აღწერის ცნობების თანახმად მოსკოვში ითვლება 1.490 000 მცხოვრები. იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ფართოთ სარგებლობენ დაქირავებული შრომით უდრის მხოლოდ 4.500.

ვეტერინალური დახმარება.

მოსკოვი. 4 აპრილი. მოკავშირე რესპუბლიკების ვეტერინარულ სამმართველოების წარმომადგენელთა ყრილობამ მოსკოვში აღნიშნა რესპუბლიკების ვეტერინარულ სანიტარიის მეტად არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ყრილობის მიერ გამომუშავებულია პირუტყვთა ეპიდემიურ ავათმყოფობასთან ბრძოლის ზომები და ხაზი გაუსვა, რომ ვეტერინარული დახმარება უნდა იქნას საზოგადო და უფასო.

დახმარება საჰაერო ფლოტისათვის

მოსკოვი. 4 აპრ. საჰაერო ფლოტისათვის დახმარების კამპანიას ბელორუსიაში მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ გლეხთა ფართო მასები: ადგილობრივმა გაზეთებმა შეაგროვეს ოცი ათას მანეთზე მეტი.

— ვიატკის საგუბერნიო აღმასკომმა შეწირა ჰაეროპლან „სტეპან ხალტურინ“-ის შესაძენათ 5.000 მან.

— ეკატერინბურგში შესდგა საჰაერო ფლოტის მეგობართა ურალის საზოგადოება.

— არმიის პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელთა მიერ მოსკოვში გადადებულია დიდი თანხა ჰაეროპლანის გასაკეთებლათ, რომელსაც სახელათ დაერქმევა „პოლიტ-რაბოტნიკ“. პოლიტიკურ სამმართველომ მიმართა არმიის ყველა პოლიტიკურ მუშაკებს მოწოდებით, რომელშიც მოუწოდებს მათ შეუერთდენ ფლოტისათვის დახმარების კამპანიას და აწარმოვოს შეწირულებათა შეკრება.

რევოლიუციის მებრძოლთ

მოსკოვი. 4 აპრ. ეკატერინბურგში ლენინის სახელობის ფაბრიკის მუშებმა გადადვეს დასავლეთის საპყრობილეებში მყოფ რევოლიუციის მებრძოლთა სასარგებლოთ ერთი დღის შრომის ხელფასი.

ურეკებიან მღვდლებს.

მოსკოვი 6 აპრილი. ოდესის გუბერნიის მრავალ სოფლებში მცხოვრებლებმა გააძევეს მღვდლები. სოფ. ჩერმაიკში მღვდელმა შეიტანა განცხადება საბჭოთა სამსახურში შესვლის შესახებ, აღნიშნა, რა საყდარში აღარავინ დადისო.

ავადმყოფ ბავშვის კვირეული.

მოსკოვი. 2 აპრილი. სრ. რუსეთიი აღ. კომიტეტის განსაკუთრებული კომისია განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატთან ერთად მოაწყობს 6 მაისიდან უპატრონო ავადმყოფ ბავშვთა კვირეულს ამ კომპანიის მიზანია—გააძლიეროს მუშა-გლეხების ყურადღების მიქცევა საბავშვო საკითხისადმი, აღმოუჩინოს ბავშვებს განსაკუთრებით უპატრონოთ და ავადმყოფთ, რეალური დახმარება და ჩაუყაროს საძირკველი გაჭირვებულ ბავშვების მუდმივ საზოგადოებრივ დახმარებას. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ კომპანიას, და წინადადებას აძლევს ყველა აღმასკომებს კვირეული, მომწყობ პირთ აღმოუჩინონ და მისცენ ყოველგვარი დახმარება და საშვალება, რათა მათ შესძლონ კვირეულის გატარებაში მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგებს. საბჭოთა დაწესებულებანი, პარტ. პროფესიონალური ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან მიიღონ უაქტივესი მონაწილეობა ამ კომპანიაში.

ზამთრის დასასრული.

მოსკოვი. 4 აპრილი. პეტროგრადის ობსერვატორიის ცნობით ახლო მომავალში მთელ ცენტრალურ რუსეთში დაიწყება თბილი ამინდები ფიქრობენ ამ დროს თოვლი სავსებით გაქრება.

ანტი რელიგიური მოძრაობა.

მოსკოვი 5 აპრილი. მინსკში ებრაელების აღდგომის დღეს, მოეწყო მიტინგები და ინსცენიროვკები. ანტირელიგიურ კრებაზე სინაგოგაში მიიღო მონაწილეობა 3000 კაცამდე. ნიჟნი-ნოვგოროდში, აღდგომის კვირის განმავლობაში, ებრაელ მუშებმა გადასწყვიტეს გაატარონ ანტირელიგიური კომპანია ებრაელ მუშათა ფართო წრეებში.

უკრაინა.

ამხ. ტროცკი ხარკოვში

მოსკოვი, 6 აპრილი. 4 აპრილს ხარკოვში ჩავიდა ამხ. ტროცკი, რომელსაც სადგურში შეეგება უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მთელი შემადგენლობა ამხ რაკოვსკის მეთაურობით. საუბრის დროს ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მას დავალებული აქვს სრულიად უკრაინის პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთოს რ. კ. პ ც. კ. მუშაობის შესახებ. ამხ. ტროცკი მიესალმა უკრაინის დაწყებას მოხალისე საჰაერო ფლოტის მოსაწყობად ფონდის შექმნის საქმეში. ეს ფონდი, განაცხადა ამხ. ტროცკიმ, უკვე ერთი მილიონ ოქროს მანეთს აღემატება. განზრახულია მისი ორ მილიონამდი აყვანა. ამ ჟამად წარმოიშვა აზრი საჰაერო ფლოტის დახმარების კამპანიის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირების შესახებ. ჩვენი გამარჯვების უდიდესი გამოხატულება იქნება გლეხებისათვის გაზეთების ჰაეროპლანის საშვალებით მიწოდება. ჩვენი უგზოობის პირობებში ავიაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ საჭირო დარჩა საჰაერო ფლოტი გამოყენებული იქნება სამხედრო მიზნისათვის. საჰაერო ავიო-მრეწველობის განვითარება. განვითარება ხელს შეუწყობს მრეწველობის აღორძინების საქმეს— ს. ს. რ. მთელს კავშირში ჩვენ გვჭირია თავდადებული მფრინავები, რომლებსაც მოგვცემს რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

მტკიცებულია. უმთავრესი სიძნელენი წინაა, კაპიტალი ჯერ კიდევ მძლავრია, შესაძლებელია ერთი ან ორი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ მოგვიხდეს ჩვენი საზღვრების დაცვა და მსხვერპლის გაღება.

მზად უნდა ვიყოთ.

თუ ეს ასე მოხდა, ჩვენ უნდა უთხრათ ბნელსა და ჩამორჩენილ მასას: „არ არის სხვა გზა, მტერი თავზე გვახვევს ომს და ჩვენ არ შევურკებით, რაშიაც ერთმანეთს მივსცემთ ძმურ პირობას“. დღეს თქვენ უპარტიონი ხართ, მაგრამ იმ დროს, როდესაც დადგება მთელი კლასის ყოფნა-არყოფნის საკითხი, თქვენსა და პარტიას შორის საზღვრები სავსებით წაიშლებიან.

ოვაციები.

ტროცკის სიტყვამ მთელ უდიდეს უპარტიო აუდიტორიაში გამოიწვია მხურვალე ოვაციები. სიტყვის ბოლოს უპარტიო ჯგუფები შემოეხვივნენ ტროცკის გარშემო. სიტყვის დამთავრებისას დარბაზში სუფევდა სამარისებური სიჩუმე, მაგრამ ცოტა პაუზის შემდეგ აპლოდისმენტების ქარიშხალმა შეარყია მთელი დარბაზი. კონფერენციის სხდომა შეწყვეტილია მეორე დღემდე.

დონის პარტიული კონფერენცია

ლტოლვა პარტიისადმი

მოსკოვი. 6 აპრილი. დონის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე გამოსულმა ამხ. კვირინგმა აღნიშნა, რომ საგუბერნიო კომიტეტის მიერ გატარებულია ძალიან დიდი სააგიტაციო მუშაობა. მასიური განცხადებები პარტიაში შესვლის შესახებ იმის დამამტკიცებელია, რომ დონის მუშებს არ დაუკარგავთ ჩვენი საქმის სამართლიანობის რწმენა. ნებაყოფლობითი წევრობის კამპანიის დროს კავშირში შეკიდენ მუშათა 90 პროცენტი. კოოპერაცია გამაგრდა. მუშათა კოოპერატივების ხელმძღვანელ ორგანოებში კომუნისტების 61 პროც. შედის. დონის მთელს ორგანიზაციაში 10 555 წევრი ირიცხება, რომელთა შორის 66 პროც. მუშებია და გლეხები კი მხოლოდ 12 პროც. პარტიის წევრთა შორის გაძლიერდა სწავლისაკენ ლტოლვა, დონბასსმა უმაღლეს სასწავლებლებში 800 კაცზე მეტი გაგზავნა მთელს დონბასში გატარებულია უპარტიოთა 200 კონფერენცია, რომლებზედაც მონაწილეობდნენ 40.000 გლეხი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ამერიკელ პროფესიონალურ მუშაკთა მოწვევა.

მოსკოვი 4 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს რუსეთში ამერიკის პროფმოძრაობის წინამძღოლები და მათ შორის ბეპსიც, ამ მოწვევის მიზანია—სურვილი გააცნონ ამერიკელ პროფმუშაკები რუსეთის მუშათა მოძრაობასა და რუსეთის მოძრაობასთან.

მთლიანი ფრონტით პროლეტარიატის გამარჯვებისაკენ.

მოსკოვი 5 აპრილი. პრაგაში შესდგა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტურ პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელსაც დაესწრო 1600 დელეგატამდე. კრაიბიხმა და ბურნანმა თავიანთ მოხსენებებში ხაზგასმით აღნიშნეს მჭიდრო კავშირი რესპუბლიკის დამცველ კანონსა და რეაქციის სტრატეგიის შორის. კამათში მონაწილეობას იღებდნენ სლოვაკიისა და კარპატის რაიონის კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენელნი. სიტყვის დასასრულში შმერალმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პარტია, მიუხედავად ყოველგვარ მსხვერპლისა, იზათ არის განაგრძოს ბრძოლა კომინტერნის დროშის ქვეშ. ყრილობაზე წაკითხულ იქნა კომინტერნის მისალმება, რომელსაც ყრილობა შეხვდა დიდის აღტაცებით. სხდომის ბოლოს ყრილობამ მოწოდებით მიმართა ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატს, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე იმედი მასში, რომ პროლეტარიატი მთლიანი ფრონტის შექმნით მიაღწევს საბოლოო გამარჯვებას.

წითელი პროფინტერნის დროშის ქვეშ.

მოსკოვი 5 აპრილი. ჩეხო-სლოვაკიის მიწის მუშათა პროფ-კავშირებმა, რომელიც აერთებს 60000 მუშას, პრაგაში 1 აპრილს შემდგარ ყრილობაზე გამოიტანეს დადგენილება შევიდნენ საერთაშორისო გაერთიანებაში, რომელიც ემხრობა წითელ პროფინტერნს.

უნგრეთის მუშათა ბრძოლა ხელფასისათვის

მოსკოვი 5 აპრილი. შარგოსარიანოში უნგრეთის უდიდეს ნახშირის მაღაროთა მუშებმა უარი სთქვეს კვირაში რვა საათის ზედმეტ მუშაობაზე. მოლაპარაკება მწარმოებლებთან შეწყდა. მარტში ფასების ინდექსის ძლიერი აწევამ გამოიწვია მუშათა ახალი გამოსვლები ხელფასის გადიდებისათვის. საფეიქრო მრეწველობის მუშათა ნაწილმა გამოაცხადა გაფიცვა, რომელმაც მწარმოებელთა მხრივ გამოიწვია ნაწილობრივი ლოკაუტი. ბუდაპეშტის ტრამვაის მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია.

სოციალ-დემოკრატების პროვოკაცია.

მოსკოვი 5 აპრილი. სოციალ.-დემოკრატების ლიდერების დაბეზღებით ბუხარესტის სასამართლომ დახურა მბეჭდავთა კავშირი. მაგრამ სოციალ - დემოკრატების პროვოკაციით გამოწვეული დადგენილება მაინც იქნა გაუქმებული გალაცის ნაპირის მუშების კავშირი გამოცხადებულია კანონის გარეშე.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი პოლიციასთან.

მოსკოვი 5 აპრილი ბულგარეთის მთავრობა განაგრძობს ანარქო-კომუნისტების დევნას. სოფიაში და სხვა ქალაქებში ანარქისტების მიერ მოწვეულმა კრებებმა გამოიწვია სისხლის მღვრელი შეტაკებანი პოლიციასთან. ამ შეტაკებათა შედეგში იქნა ბევრი მოკლული და ბევრი დაჭრილი. დახოცილთა შორის არის ერთი ოფიცერი. მთავრობა ანარქისტულ მოძრაობის ჩასაქრობათ იღებს რეპრესიულ ზომებს.

ქვის მტეხელთა გაფიცვა

მოსკოვი 5 აპრილი ბერლინიდან იუწყებიან, რომ ქვედა სილეზიაში გაიფიცნენ ქვის მტეხელნი მუშები. ქვის ტეხვის მრეწველობის მეპატრონენი უარს ეუბნებიან მუშებს ხელფასის გადიდების შესახებ, რადგანაც ქვის მრეწველობა სავსებით შეჩერებულია.

გაფიცვის ტალღები იზრდება.

მოსკოვი 5 აპრილი. პარიზიდან იუწყებიან, რომ გაფიცვის ტალღები ხელფასის გადიდებისათვის პარიზიდან გადაეშვა პროვინციაში. პარიზში გაფიცულნი არიან ლითონის, ტყავის და ხის დამმუშავებელი წარმოებათა მუშები.

პროფინტერნის დროშის ქვეშ.

მოსკოვი. 6—4. ამსტერდამში შეკრებილმა ჰოლანდიის პროფკავშირების მდივნებმა ხმების უმრავლესობით დაადგინეს შევიდენ როფინტერნში.

გერმანიის კომკავშირის ყრილობა.

მოსკოვი. 6 აპრილი. ბერლინში გაიხსნა გერმანიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ყრილობა რომელმაც მისალმებითი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ლენინს. პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბრანდლერმა. მისი აზრით მთლიანი ნაციონალური ფრონტი ირღვევა რეფორმისტული პოლიტიკის წყალობით სოციალ-დემოკრატიული მასები უფრო გაკონტრრევოლიუციონერდენ. შეეხო რა მდგომარეობას საქსონიაში, ბრანდლერმა განაცხადა რომ კომუნისტებმა იქ დაიპყრო სოციალ-დემოკრატიული მასების სამი მეოთხედი. ყრილობამ დაადგინა გააფართოვოს და გააღრმავოს პარტიის მუშაობა ფართე პროლეტარული მასების დასაპყრობათ.

პარტიული კონფერენციები

სრულიად უკრაინის პარტ-კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

მოსკოვი. 6 აპრილი. 4 აპრილს ხარკოვის საოპერო თეატრში გაიხსნა სრულიად უკრაინის მეშვიდე პარტ-კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატები მთელი უკრაინიდან, გაზეთის წარმომადგენლები და პარტიულ დაწესებულებათა დელეგატები. კონფერენცია გახსნა ამხ. პეტროვსკიმ, რომელმაც გააკეთა პარტიულ მუშაობის შესახებ მოკლე მიმოხილვა. პარტიის ძლიერება, სთქვა პეტროვსკიმ, იზრდება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ზრდასთან ერთად.

მისალმება ილიჩს.

ამ ჟამად ჩვენი ზრახვანი ავადმყოფ ილიჩის სარეცელთანაა, რომელიც არის პირველი მებრძოლი და შემკრებია კომუნისტურ ძალების. უსურვოთ ძვირფასს ილიჩს უახლოვეს მომავალში სრული განკურნება. მქუხარე ტაში ფარავს ორატორის სიტყვას.

პარტიის ზრდა.

შემდეგ პეტროვსკი განაგრძობს: ხუთი წლის წინეთ კომუნისტების ერთმა მუჭამ, ყოველ მხრივ დევნილმა მტრებით, დაარსა უკრაინის კომუნისტური პარტია. აღნიშნა რა პროლეტარიატის ურყევი ბრძოლა და ევროპაში კაპიტალის შემოტევაზე გადმოსვლა, პეტროვსკი წინადადებას იძლევა კონფერენციის სახელით გაეგზავნოს მთელი ქვეყნის მუშებს მხურვალე სალამი.

პრეზიდიუმი.

კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. პეტროვსკი, რაკოვსკი, ფრუნზე, ლებედევი, ჩუბარი, უგაროვი, ნოვიკოვი და სხვები. საპატიო წევრებათ აირჩიეს ამხანაგები ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი.

მუშების მისალმება.

კონფერენციის მუშაობის დროს შემოვიდა ცნობა, რომ მახლობლათ ყველა ქარხნები საკსეა მუშათა დელეგაციებით, რომელნიც მიესალმებიან კონფერენციას, დელეგაციებს უშვებენ დარბაზში.

კატორღისათვის დატანჯულს.

მუშათა დელეგატების დაჟინებით ამხ. ტროცკი იძლევა წინადადებას გაეგზავნოს ვლადიმერ ილიჩს შემდეგი დეპეშა: ჩვენს ძველს მეგობარს და მასწავლებელს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატის უბადლო მეგობარს, მთელი კაცობრიობისათვის დატანჯულს, ძვირფასს ილიჩს მეშვიდე სრულიად უკრაინის კონფერენცია უგზავნის თავის მხურვალე სალამს და პირობას სდებს აწარმოოს მუშაობა იმ ხაზით, როგორც გვასწავლიდა ჩვენ ილიჩი.

უპარტიოთა მისალმება.

დელეგაციის წევრი, მუშა ფილატოვი, აცხადებს, რომ მას დავალებული აქვს უპარტიო მუშებისგან ხელის ჩამორთმევით მიესალმოს წითელი არმიის წინამძღოლს ამხ. ტროცკის ტროცკი ჰკოცნის ფილატოვს, დარბაზი ტაშს უკრავს. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს. შემდეგ კონფერენციაზე მოისმინეს მუშათა ორგანიზაციების მთელი რიგი მისალმებანი.

ამხ. ტროცკის პასუხი,

უპარტიო დელეგატებისადმი საპასუხო სიტყვაში ამხ. ტროცკი ამბობს „ჩვენ უყურებდით როგორ შემოდიოდნენ კონფერენციის დარბაზში წითელი დროშებით მუშათა დელეგატები და ვგრძნობდით იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც არსებობს პარტიასა და მუშათა კლასის შორის. ათასი წლობით გრძელდება ჩაგვრა, ტანჯვა და ბრძოლა განთავისუფლებისათვის. კლასის გზა გრძელია და მოდის საუკუნოებით დღემდის. მუშათა კლასის სისხლიანი გაფრთხილებული ბრძოლა გვასწავლის ჩვენ, თუ რა გზით უნდა განთავისუფლდეს მუშათა კლასი კაპიტალის უღლიდან, გამოცდილება გვასწავლის. 1918 და 1920 წლებში ჯერ კიდევ რყევა იყო ხარკოვში, მაგრამ ამ ჟამათ უპარტიო მუშების პსიხოლოგია საკმაოთ გან-

ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში

საქართველო

ანტირელიგიური კამპანიისათვის.

ცაგერი. (ლეჩხუმის მაზრა) იანვრიდან სწარმოებს სისტემატიური ანტირელიგიური კამპანია. 1 აპრილს კომკავშირის და პარტკომის ინიციატივით გამართა მიტინგები, სადაც გლეხების დადგენილებით ჩამორთმეულია 18 ეკლესია. კამპანია გრძელდება. მასის განწყობილება ანტირელიგიურია. კამპანია გრძელდება.

ლეჩხუმის პარტკომისიის მდივანი
მაბუკაძე.

სომხეთი

საბჭოთა რუსეთის ელჩის მისალმება

ერევანი 5 აპრილი. სომხეთის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო საბჭოთა რუსეთის ელჩი (რომელიც ტფილისში იმყოფება) ამხ. ლვოვიჩისაგან მისასალმებელი დეპეშა დაშნაკურ ავანტიურის ლიკვიდაციის 2 წლის თავის გამო.

ხორბალი რუსეთიდან.

ერევანი 5 აპრილი. ნოვოროსიისკიდან მიღებულია 16 მარშრუტი ხორბალი.

ბავშვების მეგობრები

ჩვენს სახელმწიფოს არ ძალუძს ჯერჯერობით მთლიანად უზრუნველყოს და დააკმაყოფილოს სასწავლო დაწესებულებების მოთხოვნილებები.

ამის შესამსუბუქებლად—საბჭოთა აპარატს უსათუოდ შეფები უნდა დაეხმარონ.

შეფობას ჰქონდა ადგილი მეფობის დროსაც—აქვს ადგილი თანამედროვე ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებშიაც, მაგრამ საქმეც ის არის რომ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ და საბჭოთა სახელმწიფოების შეფობათა შორის დიდი განსხვავებაა. პირველ შემთხვევაში შეფები—ცალკე პირებია—მეფის მთამომავლობის ან მსხვილ წარმოება—მრეწველობის მეპატრონეები—პირადი წარჩინებისათვის. ან სხვა რაიმე პირადი პატივისათვის იმა თუ იმ დაწესებულების მხრივ შეფობის მიმღები.

ჩვენში-კი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხანაში, შეფობას წარჩინებითი ხასიათი კი არა აქვს, არამედ კოლექტიური—ძმური დახმარების [illegible] პროლეტარულ მზრუნველობის მეთოდით.

შეფობის ინსტიტუტი რ. ს. ს. ფ. რ.-ში დაარსდა ჯერ კიდევ 1921 წ-ში და მას შემდეგ თვისი განვითარებით მან მიიღო საზოგადოებრივ ხასიათის ფორმები.

შეფობა აქცევს ამ ჟამად სათანადო ყურადღებას სწავლა—აღზრდის საქმეს, რომელიც უფრო საჭიროებს დახმარებას. ვინემ ჩვენი ცხოვრების რომელიმე სხვა დარგი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროლეტარული მზრუნველობა სასკოლო დაწესებულებებზე მიგვიყვანს არა მარტო საბავშვო დაწესებულებების ეკონომიურად გაჯანმრთელებამდე, არამედ მისცემს მათ აღმზრდელობითი მნიშვნელობას გააღვივებს და ჩაუნერგავს ახალგაზრდობას კოლექტივიზმის სულს და მშრომელებთან სოლიდარობას.

ჩვენმა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებმა უნდა გააძლიერონ სასწავლო საქმეზე შეფობა, რაიც ხელს შეუწყობს მატერიალურადაც და სულიერადაც საბავშვო ბაღების, სახლების, კერების, სკოლების და საერთოდ სასკოლო საქმის აღორძინებას ახალ სკოლების პრინციპების მიხედვით.

ამ შემთხვევაში ჩვენ განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის ორგანოების სახელით მივეგებებით ჩვენ პირველ მერცხალს, საბავშვო დაწესებულებების გაჯანმრთელებაში და ვისურვებთ, რომ მომავალში ქვემოაღნიშნული დაწესებულებები მაგალითი გამხდარიყვნენ სახელმწიფო და კერძო მრავალ დაწესებულებათათვის შეფობის საქმეში.

ჩვენ გვყავს მხედველობაში ის დაწესებულებები, რომლებმაც დიდი უნარი გამოიჩინეს ამ საქმეში:

1. ამიერ-კავკასიის საგარეო კომისია, რომელმაც მიიღო შეფობა [illegible] საცდელ-საჩვენებელ სკოლაზე ეხმარება ფართლეულობა-შალეულობით და სურსათ-სანოვაგით.

2. საქართველოს უზენაესი ტრიბუნალი—პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლის შეფი;

3. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—ქალაქ დუშეთის საბავშვო სახლის შეფი (რომელიც დახმარებას უწევს თვიურად ფულით);

4 ქალაქ თბილისის აღმასკომი——ქალაქ ოზურგეთის საბავშვო სახლის შეფი (მიუხედავათ იმისა. რომ მრავალი საბავშვო დაწესებულებები მას ხელქვეითაა).

5. სომხურ გაზეთის რედაქცია „მარტა-კოჩის“—მეორე საცდელ საჩვენებელ საბავშვო სახლის შეფი.

6. საქართველოს საგარეო საქმეთა კომისარიატი—ამხ. კაიძის სახელობის საბავშვო სახლის შეფი.

7. საქართველოს მიწათ-მოქმედების კომისარიატი ტფილისში არსებულ საბავშვო სკოლა-კლუბის შეფი.

ეს ფაქტი სასწავლო საქმეში დიდად მოვლენის დასაწყისია, რომელიც განათლების ფრონტზე გამარჯვებით დამთავრდება და მოგვცემს საუცხოვო შედეგებს სახელმწიფო, საზოგადო და სამეურნეო ორგანოებისა და საბავშვო დაწესებულებების დაახლოვებასა და სულიერ ამაღლებისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ სამაგალითო ფაქტს გაუწევენ ანგარიშს სხვა ორგანიზაციებიც, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ფინანსიური კომისარიატი, „ცენტრო სოიუზი“, ცეკავშირი, ამიერ-კავკასიის საგარეო სავაჭრო მმართველობა და სხვა; ისინიც დაეხმარებიან პროლეტარულ სახელმწიფოს მომავალ მოქალაქეთ, ბავშვებს, როგორც აქ თბილისში, ისე ადგილობრივ, პროვინციებში.

სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის კოლეგია.

მენშევიკების განცხადება

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს.

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას.

ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრები, საჯაროთ ვაცხადებთ, რომ ვსტოვებთ ამ პარტიის რიგებს, ვინაიდან მან უსირცხვოდ გაჰყიდა პროლეტარიატის და ღარიბი გლეხკაცობის ინტერესები.

აშკარა კავშირით მსოფლიოს მტაცებლებთან და კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელ შავ გენერლებთან მენშევიკური პარტია სცდილობდა და სცდილობს დღესაც ჩასცეს ზურგში მახვილი პროლეტარულ რევოლიუციას და მსოფლიო ომის ნანგრევებზე აღადგინოს კაპიტალისტური წესწყობილება. კერძოთ საქართველოში მენშევიკური პარტიის მოქმედება იმდენათ საზიზღარი და აღმაშფოთებელია (კავშირი თავად ჩოლოყაშვილთან და სხვ.) რომ ყოველი მისი პატიოსანი წევრი ვალდებულია საჯაროთ დაგმოს ეს მუხანათური პოლიტიკა, დასტოვოს გაბანდიტებული პარტია და ჩაებას საერთო გადამწყვეტ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს დღეს რუსეთის და მისი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების ძლევა მოსილი პროლეტარიატი კომპარტიის ხელმძღვანელობით,

სრულიად შეგნებულად, ღრმად აღშფოთებულნი მენშევიკური პარტიის და მისი დამქაშების მოქმედებით, ჩვენ წყევლა-კრულვით ვსტოვებთ რა პარტიის რიგებს, მოუწოდებთ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც სამწუხაროდ დღემდის კიდევ იმყოფებიან იქ აწი მაინც თავი დაახწიონ მოღალატეებს და გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა მთავრობას.

1.	გოგიჩაიშვილი იაკობ თედორეს ძე	პარტ. წევრი	1905 წ.
2.	სირაძე რაჟდენ ივლიანეს ძე	„	1910 წ.
3.	გოგუაძე ივლიანე სიმონის ძე	„	1905 წ.
4.	ქურიძე ივანე პავლეს ძე	„	1917 წ.
5.	წილოსანი ლადიმე არჩილის ძე	„	1914 წ.
6.	ქურიძე ლავრენტი გიორგის ძე	„	1917 წ.
7.	ქურიძე სიმონ ხუტუას ძე	„	1905 წ.
8.	ძაქელაძე მირიან სიმონის ძე	„	1919 წ.
9.	სოსელია პლატონ ვასილის ძე	„	1903 წ.
10.	ჩხაიძე სოლომონ ათარმის ძე	„	1910 წ.
11.	ჯაში ალექსანდრე ვლადიმერის ძე	„	1918 წ.
12.	ცინცაძე პლატონ კოსტანტინეს ძე	„	1918 წ.
13.	გადაჭკორია ივლიანე ეფრემის ძე	„	1917 წ.
14.	რამიშვილი მაქსიმე ყარამანის ძე	„	1905 წ.
15.	ხოფერია იორდანე ხოსროს ძე	„	1917 წ.
16.	ბაჟელიძე თეოფილე ეფემიას ძე	„	1917 წ.
17.	დობორჯგინიძე ილიკო მიხეილის ძე	„	1918 წ.
18	სარჯველაძე დათა ილაკრის ძე	„	1918 წ.
19.	ანდღულაძე ილარიონ სილოვანის ძე	„	1903 წ.
20.	გალოგრე თემურაზ რაჟდენის ძე	„	1918 წ.
21.	გოგუაძე შალვა ბათლომეს ძე	„	1918 წ.
22.	თოიძე სამსონ ელიზბარის ძე	„	1912 წ.
23.	ვასაძე ვანო დათას ძე	„	1917 წ.
24.	ანდღულაძე სპირიდონ ერმალოზის ძე	„	1917 წ.
25.	ჯაველიძე მანასე ბესარიონის ძე	„	1902 წ.
26.	ჭეიშვილი აპოლო დავითის ძე	„	1905 წ.
27.	კაცაძე ალექსი ივანეს ძე	„	1920 წ.
28.	ჩხარტიშვილი სევერიანე სამსონის ძე	„	1914 წ.
29.	ჭეიშვილი ფილიპე პავლეს ძე	„	1902 წ.
30.	ჯახუტაიშვილი ილარიონ გაბრიელის ძე	„	1917 წ.
31.	სიხარულიძე ისონ ალმასხანის ძე	„	1917 წ.
32	ღლონტი მიხეილ ოქროპირის ძე	„	1905 წ.
33	ქიქოძე პავლე გლახუას ძე	„	1905 წ.
34.	ნიკოლაიშვილი აკაკი ალმასხანის ძე	„	1919 წ.
35.	მორჩილაძე იორდანე ბესარიონის ძე	„	1017 წ.
36	გიორგაძე მიხაკო გოგოლას ძე	„	1905 წ.
37.	მამეშვილი რაჟდენ ოსიპეს ძე	„	1919 წ.
38.	მორჩილაძე დიომიდე ეფრემის ძე	„	1801 წ.
39.	ცხომელიძე ზოსიმე გიორგის ძე	„	1901 წ.
40.	დოლიძე კირილე არსენის ძე	„	1917 წ.
41.	ქამჯარაძე ისონ გიორგის ძე	„	1918 წ.
42.	წულაძე ლადიკო მიხეილის ძე	„	1905 წ.
43.	ჩხაიძე თეოფილე მაქსიმელის ძე	„	1902 წ.
44.	გორგილაძე დიმიტრი ბეჟანის ძე	„	1908 წ.
45.	გიორგაძე ყაისარ ალექსის ძე	„	1908 წ.
46.	კვასხვაძე ილაკრი ლევანტის ძე	„	1918 წ.
47.	ხაფთახი იასონ სიმონის ძე	„	1923 წ.
48.	ჩხარტიშვილი პართენ არსენის ძე	„	1918 წ.
49.	მარშანია ბესარიონ ანტონის ძე	„	1904 წ.
50.	ხელაძე ნიკოლოზ ექვთიმეს ძე	„	1916 წ.
51.	ჩხარტიშვილი სარდიონ ალექსანდრეს ძე	„	1919 წ.
52.	ჩხაიძე რაჟდენ იაკინტეს ძე	„	1917 წ.
53.	ჩხაიძე გრიგოლ გიგილოს ძე	„	1917 წ.
54.	ლაღონია დიმიტრი ონისიმეს ძე	„	1918 წ.
55.	წულაძე ირაკლი მიხეილის ძე	„	1905 წ.
56.	თავაძე კირილე ანტონის ძე	„	1905 წ.
57.	წულაძე კონსტანტინე თარხანის ძე	„	1908 წ.
58.	გოგვაძე ნოე საბას ძე	„	1905 წ.
59.	თხილაიშვილი ქრიტსეფორე გრიგოლის ძე	„	1920 წ.
60.	გორდელაძე სამსონ მასიკოს ძე	„	1906 წ.
61.	გოგოძე პორფილე სილევანის ძე	„	1904 წ.
62.	ფრანგულაიშვილი ოქრობილ მელიტონის ძე	„	1917 წ.
63.	კვირკველიძე კირილე კონსტანტინეს ძე	„	1918 წ.
64.	ლომაძე ოქროპირ კონსტანტინეს ძე	„	1905 წ.
65	ჭელიძე გრამიტონ პავლეს ძე.	„	1918 წ.
66.	სამსონია კირილე ხოსის ძე	„	1917 წ.
67.	მუხაშავრია თომა ალექსანდრეს ძე	„	1905 წ.
68.	ხელაძე ვლადიმერ ესეფის ძე	„	1907 წ.
69.	ჩიკაშუა ტიფო ონისიმეს ძე	„	1907 წ.
70.	ჩიკაშუა კირილე გაბრიელის ძე	„	1905 წ.
71.	გადაჭკორია პარმენ რაჟდენის ძე	„	1918 წ.
72.	ურუშაძე ლადო ამარკოზის ძე	„	1918 წ.
73.	სიხარულიძე ივანე ლევანის ძე	„	1918 წ.
74.	სიხარულიძე ნიკიფორე დავითის ძე	„	1904 წ.
75.	გიორგაძე ბესარიონ ალმასხანის ძე	„	1905 წ.
76.	ქურიძე შალვა პავლეს ძე	„	1918 წ.
77.	ინწკირველი ვასილი ყაისარის ძე	„	1916 წ.
78.	გიორგაძე მალაქია გრიგოლის ძე	„	1918 წ.
79.	გიორგაძე აკაკი ამბაკოს ძე	„	1905 წ.
80.	ჯახუტაიშვილი აპოლონ მიხეილის ძე	„	1919 წ.
81.	ლომთათიძე ივანე ლომინის ძე	„	1919 წ.
82.	ცენტერაძე პროკოფი ხარიტონის ძე	„	1918 წ.
83.	კოპლატაძე პავლე სილოვანის ძე	„	1917 წ.
84	ჩიგოგიძე მალაქია ალექსის ძე	„	1901 წ.
85.	ჯაში დათიკო მელიტონის ძე	„	1917 წ.
86	ჯაში მანასე ლევარსის ძე	„	1918 წ.
87.	ცენტერაძე ხარიტონ გლახუნის ძე	„	1907 წ.
88.	ტუტუჩავა ალექსი ლევარსის ძე	„	1917 წ.
89.	როყვა იესე ფარნაოზის ძე	„	1905 წ.
90.	დონდუა ნესტორ ამბაკოს ძე	„	1908 წ.
91.	დარჩია ალფეს გიგოს ძე	„	1908 წ.
92.	დარჩია ისიდორე აქსენტის ძე	„	1905 წ.
93	ბაჟელიძე ექვთიმე ლევანის ძე	„	1905 წ.
94.	ჩიკაშუა ვასილ ბეჟუკის ძე	„	1906 წ.
95.	მუჯირი ვასილ სოლომონის ძე	„	1917 წ.
96.	თავდიშვილი აქსენტი ნიკოს ძე	„	1915 წ.
97.	ჩანჩიბაძე ნიკიფორე მიხეილის ძე	„	1912 წ.
98.	კვირჩილაძე ისიდორე იესეს ძე	„	1912 წ.
99	ჭეიშვილი აკაკი ნიტაფოს ძე	„	1917 წ.
100.	ჭელიძე ხარიტონ სიმონის ძე	„	1905 წ.
101.	ებრალიძე ათანასე საბას ძე	„	1917 წ.
102.	კაჭალმაძე კირილე ალექსის ძე	„	1918 წ.
103.	დარჩია ისაკი ამბაკოს ძე	„	1918 წ.
104.	ხელაძე ვარდენ გორგის ძე	„	1905 წ.
105.	დოლიძე შერმანდი ივანეს ძე	„	1905 წ.
106.	მარგალიტაძე ლუკა ხალამპრეს ძე	„	1918 წ.
107.	ჩანჩიბაძე სამსონ გიგოს ძე	„	1920 წ.
108.	სანიკიძე ვარლამ მათეს ძე	„	1919 წ.
109.	ხმელიძე კოტე ვარლამის ძე	„	1917 წ.
110.	ქანჯარაძე გიორგი იესეს ძე	„	1902 წ.
111.	სურგულაძე ალექსი მელქისეს ძე	„	1918 წ.
112.	ჭყონია დიმიტრი ლასას ძე	„	1917 წ.
113.	სიხარულიძე ლუარსაბ მაქსიმეს ძე	„	1900 წ.
114.	ბასილია მირიან გლახუნის ძე	„	1905 წ.
115.	ჯინჭარაძე კოწია მიხეილის ძე	„	1905 წ.
116.	ანთაძე თედორე არსენის ძე	„	1918 წ.
117	ნიკოლაიშვილი კირილე სისოს ძე	„	1908 წ.
118.	ჩხაიძე ილიკო იაგორის ძე	„	1908 წ.
119.	ნინიძე მიხაკო გიტოს ძე	„	1917 წ.
120.	სიმონიშვილი ივანე თომას ძე	„	1904 წ.
121.	წულაძე ათინოგ ივანეს ძე	„	1908 წ.
122.	კილაძე მათე ნიკოს ძე	„	1919 წ.
123.	ინწკირველი ერენია გლახუას ძე	„	1918 წ.
124.	გოგიტიძე თამარა დიომიდის ასული	„	1916 წ.
125.	ჯაშ ყმაძისა ნინა კონსტანტინეს ასული	„	1905 წ.
126.	სირაძე ვასილი ქიონის ძე	„	1917 წ.
127.	წიტაიშვილი სამუელ სტეფანეს ძე	„	1917 წ.
128.	უნგიაძე ლადიკო გაბრიელის ძე	„	1905 წ.
129.	თხილაიშვილი ბესარიონ ისააკის ძე	„	1917 წ.
130.	ცქვიტინიძე მიხეილ ედემის ძე	„	1905 წ.
131.	ტაკაძე ივანე ამფილოგის ძე	„	1917 წ.
132.	ცინცაძე ისიდორე მიზარბეგის ძე	„	1918 წ.
133.	ჩხიკვაძე ქრისტეფორე გიორგის ძე	„	1919 წ.
134	ჩხიკვაძე ილია მასიკოს ძე	„	1920 წ.
135.	ბერაძე სამსონ რომანოზის ძე	„	1907 წ.
136	ბერიძე ალექსანდრე დავითის ძე	„	1920 წ.
137.	გიორგაძე სტეფანე გიორგის ძე	„	1918 წ.
138	უნგიაძე გიორგი ლადიკოს ძე	„	1917 წ.
139.	ბოლქვაძე ისაკი გიორგის ძე	„	1917 წ.
140	სიხარულიძე შალვა ნიკოს ძე	„	1917 წ.
141.	ათანასოვი მანოლი სპირიდონის ძე	„	1919 წ.
142	კვინტრაძე სარდიონ ეგნატეს ძე	„	1907 წ.
143	ლუტიძე გრიგოლი გიორგის ძე	„	1903 წ.
144.	ჩიგოგიძე ლადიკო სტეფანეს ძე	„	1917 წ.
145.	ამბაძე იაგორ ივანეს ძე	„	1905 წ.
146.	უნგიაძე კაპიტონ არსენის ძე	„	1909 წ.
147.	კალანდაძე მირიან ასალოს ძე	„	1917 წ.
148.	კალანდაძე ვალერიან გრიგოლის ძე	„	1917 წ.
149.	კალანდაძე მელიტონ სერბინეს ძე	„	1917 წ.
150.	მეფარიშვილი სიმონ ლუკას ძე	„	1902 წ.
151.	წულაია დიმიტრი მალაქიას ძე	„	1911 წ.
152.	ჯამბერიძე სერაპიონ ფილიპეს ძე	„	1905 წ.
153.	ცენტერაძე სიმონ ანდრიას ძე	„	1907 წ.
154.	ტყეშელაძე ბესარიონ გიორგის ძე	„	1918 წ.
155.	ცენტერაძე გერმანე ლუკას ძე	„	1907 წ.
156	დუმბაძე იოსებ ამბაკოს ძე	„	1919 წ.
157.	ქორიძე მოსე ლუკას ძე	„	1917 წ.
158.	არაშიძე რაჟდენ ეგნატეს ძე	„	1919 წ.
159.	ბროკიშვილი ელისე იესეს ძე	„	1917 წ.
160.	თოდრაძე მირიან კოხტას ძე	„	1905 წ.
161	თოდრაძე ექვთიმე ივანეს ძე	„	1903 წ.
162	ქარცივაძე ყარამან გიორგის ძე	„	1905 წ.
163.	კვაჭანტირაძე ისიდორე გაბრიელის ძე	„	1905 წ.
164.	თოდრაძე ალექსანდრე ექვთიმეს ძე	„	1917 წ.
165.	იმნაიშვილი ქიშვარდი ფირანის ძე	„	1915 წ.
166	ბოლქვაძე სტეფანე ალმასხანის ძე	„	1919 წ.
167.	ულენტი ვლასა ლუკას ძე	„	1918 წ.
168.	უნგიაძე ლადიკო გაბრიელის ძე	„	1905 წ.
169	ულენტი კაპიტონ ალმასხანის ძე	„	1905 წ.
170.	ჩიგოგიძე ისიდორე იესეს ძე	„	1919 წ.

თბილისის აღმასკომის გაფართოებული პრეზიდიუმის სხდომა

(5 აპრილი)

ბინის საკითხი.

მოხსენებით ბინის საკითხზე სახკომსაბჭოს პროექტის შესადგენათ არსებული კომისიის მუშაობის შესახებ, გამოვიდა ამხ ვარძიელი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტით ნათლად არის გარკვეული დებულებები სახელმწიფო. კომუნალური მეურნეობის და კერძო სახლების შესახებ. ამას გარდა დეკრეტში არის ისეთი მუხლები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალი სახლების აგებას და დაზიანებულების აღდგენას.

პროექტის მიხედვით, სახელმწიფო (ნაციონალიზაციით ჩამორთმეულ) შენობათ ითვლებიან ისეთები, რომლებიც შეადგენს რესპუბლიკის საერთო კუთვნილებას, როგორიცაა მაგალითად სასახლეები, მუზეუმები, ყაზარმები, აკადემიური თეატრები და სხვა.

კომუნალური მეურნეობის (მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ) შენობებათ ითვლება ისეთები, რომლებიც ჩამორთმეული არიან მუშა-მოსამსახურეების ბინებით უზრუნველყოფის მიზნით და აგრეთვე ყველა ის შენობები, რომლებიც უჭირავთ სახელმწიფო დაწესებულებებს; ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან ორი თვის ვადაში ამ შენობებზე თბილისის აღმასკომთან დადონ საიჯარო ხელშეკრულება. ყველა დანარჩენი შენობები კერძო საკუთრებათ ითვლება. სავაჭრო სამრეწველო შენობები, მაღაზიები, საწყობები, დუქნები, სასტუმროები და სხვები იმყოფება თბილისის აღმასკომის განკარგულებაში.

დეკრეტის გამოცემის დღიდან, უქმდება კერძო ბინებში ადმინისტრატიულათ შესახლების და გაძევების წესი. ბინიდან გაძევება დაშვებ მხოლოდ სასამართლო წესით გან ღვრულ პირობებში, მაგალითად: ნის ცუდათ მოვლის დროს, ბ ქირის გადაუხდელობის და აგრ გასაძევებელ პირთან თანაცხოვრ შეუძლებლობის გამო. გაძევება შ ლება იმ შემთხვევაშიც თუ ბინა კეთებას საჭიროებს, რაც დამოწმ ბული უნდა იქნეს სპეციალური ტექნიკური კომისიის მიერ, უკანასკნელ შემთხვევაში, გაძევებულ პირს, ბინის შეკეთების შემდეგ უფლება ეძლევა ისევ დაბრუნდეს ძველ ბინაზე.

ბინის ქირის ნორმები გადასინჯული უნდა იქნეს სათანადო ორგანოების მიერ.

გაფართოებულმა პლენუმმა მოიწონა დეკრეტის პროექტი და დაადგინა გადასცეს ის სახკომსაბჭოს გამოსაქვეყნებლად.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგე.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგეთ დამტკიცებულია ამხ. ფანცხავა, რომელიც შეყვანილი იქნება აღმასკომში, რაც გადაეცეს დასამტკიცებლად საბჭოს პლენუმს.

ფინანსიური განყოფილების გამგე.

ვინაიდან ამხ. სმირნოვმა განცხადება შემოიტანა გადაყენების შესახებ, და მისი გადაყენება უკვე მიღებულია, ფინანსიური განყოფილების გამგეთ დამტკიცებულია ამხ. ფიალკოვსკი.

ახალი შენობები აგების საქმისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო

ა. წ. 6 აპრილიდან უმუშევართა კომიტეტი აწყობს ქ. თბილისში „უმუშევარ საბჭოთა მუშაკის დასახმარებლად“ შემოწირულების ყულაბებით აკრებას.

უმუშევარ საბჭოთა მოსამსახურეთა და მუშათა არმიის შორის ითვლება 4.000 კაცი.

ჩვენს სახელმწიფოს ფინანსიურ კრიზისის გამო, როგორც კავშირს არ ძალუძს სავსებით დააკმაყოფილონ უმუშევართა საშუალო არსებობა, რომელთაც ისეთივე უფლება აქვთ ამაზე, როგორც მომუშავეებს.

თვითეული მომუშავე არაპირდაპირ დამნაშავეა, უმუშევრის ბედში. არ შეიძლება გულგრილად უყუროთ უმუშევრობას და არ შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ ბოროტება რამენაირად შეიძლება გავამართლოთ.

უმუშევრობის ფრონტს უნდა დაუპირდაპიროთ დარაზმულ დახმარების ძლიერი ფრონტი. კავშირი იღებს მთელ რიგ რადიკალურ ზომებს უმუშევართა ბედის შესამსუბუქებლად, მაგრამ საზოგადოებრივი დახმარება ნაკარნახევია ადამიანური მაღალი მოთხოვნილებით.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ ქ. თბილისის ყველა მოქალაქეს ყულაბებით შემოწირულების აკრეფის დღეს გაიღონ თავიანთი ხარჯებიდან შესაძლებელი მაქსიმუმი უმუშევარ საბჭოთა მუშაკის დასახმარებლად.

ნუ გაძუნწდება შემწირველის ხელი.

შეწირულებათა ამკრები უმუშევართა კომიტეტის ხელმძღვანელი კოლექტივი.

ხელის შესაწყობად, პროექტით გათვალისწინებულია შეღავათების მიცემა როგორც ახლად აგებული შენობებით, აგრეთვე იმ ძველი შენობებით სარგებლობაში, რომლებიც აღდგენილი და მათში საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებული იქნენ მეპატრონის-მიერ. პროექტით დაშვებულია აგრეთვე უპატრონოთ მიტოვებული შენობების სხვა პირებისათვის გადაცემა ამ შენობების აღდგენის დავალებით.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტური ახალგაზრდობის აღდგომა

პროცესიის მსვლელობის წესრიგი

შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრები, უპარტიო ახალგაზრდობა და მუშები იკრიბებიან ახალგაზრდათა კომკავშირის რაიონებში, სადაც საქ. კომპარტიის რაიკომებთან ერთად იმართება პატარა მიტინგები. შემდეგ ყველანი მწყობრად რაიკომების მდივნებთა ხელმძღვანელობით მიემართებიან ყოფილ სამხედრო ტაძრისაკენ; აქ იმართება პოლიტიკური სამსჯავრო რელიგიაზე. სარაიონო მიტინგების ჩატარებისა და ყოფ. სამხედრო ტაძრისაკენ მსვლელობისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ ახალგ. კომკავშირის რაიკომების მდივნებს.

საქ. ახალგ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

ქ. თბილისის მოქალაქეთა და რაიონული მილიციის უფროსების საყურადღებოთ

„კომკავშირის შობას“ შემდეგ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ კომიტეტში არა ერთხელ შემოსულა საჩივარი სამღვდელოებისაგან იმ საძაგლობის შესახებ, რომელთაც ჩადიოდენ ეკლესიებში ახალგაზრდები, რომლებიც თავის თავს კომკავშირის წევრებს უწოდებდენ.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მაშინვე იღებდა ზომებს დამნაშავეების გამოსარკვევად და აღმოსაჩენად. **გამოძიება ყოველთვის ამტკიცებდა, რომ კომკავშირის არც ერთი წევრი ამ საძაგლობაში მონაწილეობას არ იღებდა.**

ღამით 5–6 აპრილს ზოგიერთმა პროვოკატორებმა კვლავ ჩაიდინეს საძაგლობა ეკლესიებში: ცეკვავდენ, ტაშს ცემდენ, მღეროდენ და სხვა. ყველა ამას ჩადიან ქუჩის ხულიგანები, რომლებსაც მიზნათ აქვთ სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლებას და კომკავშირს.

კომკავშირის ცეკა აცხადებს, რომ ჩვენს ანტი-რელიგიურ დღესასწაულებს საგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათი აქვთ და არა ისეთი ბრძოლის ხასიათი, რომელიც მორწმუნე მოქალაქეების აღშფოთებას იწვევს.

ჩვენი პრინციპია: რწმენის თავისუფლება.

ცენტრალური კომიტეტი სთხოვს ყველა რაიონული მილიციის უფროსებს და კომკავშირის წევრებს სასტიკი ზომები მიიღონ პროვოკატორების წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ დაატუსაღონ ისინი.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დავდარიანი.**

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის თებერვლის ანგარიში

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ № 77)

[illegible] თბილისის სამაზრო ორგანიზაცია დაყოფილია შემდეგ რაიონებათ:

1. გარე-კახეთის (6 თემი), იაჩეიკების რიცხვი—7, წევრთა რიცხვი—55.
2. მანგლისის (3 თემი), იაჩეიკების რიცხვი—3, წევრთა—27.
3. აღბულაღ-ასურეთის (3 თემი), იაჩეიკები—9, წევრნი—48.
4. წალკის (2 თემი), იაჩეიკები—2, წევრნი—25.

გარდა ამისა გარე-კახეთის სარაიონო კომიტეტთან მარტყოფის საუბნო ბიურო არსებობს.

ზოგიერთი თემი შეერთებულია ქალაქის ორგანიზაციასთან, სახელდობრ: ავჭალის თემი (5 იაჩეიკა, 44 წევრი) შეუერთდა 1 რაიონს; ყარაიაზის თემი (1 იაჩეიკა, 13 წევრი)—მე 3-ე რაიონს; ზოგიერთი ახლო მდებარე სოფლები (დიღომი, წყნეთი; და კოჯორი), რომლებშიაც ირიცხება პარტიის 12 წევრი მე-4-ე რაიონს შეუერთდა.

თანახმად რეორგანიზაციის ამ გეგმისა, თბილისის კომიტეტი შეუდგა მის პრაქტიკულ განხორციელებას, რის მიზნითაც მან დაგზავნა მაზრებში ინსტრუქტორები და დაიწყო შესაფერ მუშაკთა შერჩევა. საბოლოვო ორგანიზაციული ჩამოყალიბება მოხდება, ეთუოთ, აპრილში.

ორგანიზაციული მუშაობა ქალაქის ორგანიზაციაში მიმდინარეობს იმ მიმართულებით, როგორც იანვარში. სარაიონო კომიტეტების ღონისძიებანი ამ დარგში მიმართული იყო იაჩეიკების სწორ აგებისაკენ, წარმოების პრინციპის მიხედვით და დაწესებულებათა იაჩეიკების ორგანიზაციულ ჩამოყალიბების დამთავრებისა და მათი მოქმედების გაძლიერებისაკენ.

სარაიონო კომიტეტების მიერ მიქცეული იყო ყურადღება იაჩეიკების ბიუროსა და სარაიონო კრებებზე დელეგატების შემადგენლობის განახლებაზე. ამ მიზნით გატარებული იყო იაჩეიკების ბიუროს საარჩევნო კამპანია და ამ საშვალებით გაყვანილ იქნა იქ განსაკუთრებით აქტიური და უნარიანი წევრები. გადასინჯულ იქნა, აგრეთვე, პასუხისმგებელ მუშაკთა კადრი, შეტანილ იქნა ამ კადრში ზოგიერთი ცვლილებები. საუკეთესო ძალები გადასროლილ იქნა მუშათა იაჩეიკებში, განსაკუთრებით,—სუსტ იაჩეიკებში.

ამ გვარათ თითქმის სავსებით გაახლდა მუშათა იაჩეიკების აპარატი, რომლებიც ახალი ძალებით იწყებენ მუშაობას. მაგრამ თებერვალში ამ ზომებმა დიდი შედეგები ჯერ ვერ მოიტანა, ვინაიდან ხშირი პოლიტიკური კამპანიები მთელს ორგანიზაციაში და ქუჩის დემონსტრაციები (რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ, ამხ. ობოლაძის დასაფლავება, მიტინგი ალექსანდრეს ბაღში და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მეორე წლის თავი), და აგრეთვე ამხანაგების მობილიზაცია მიწის რეფორმის გასატარებლად, აბრკოლებდენ იაჩეიკების მუშაობას.

ტფილისის ორგანიზაციის იაჩეიკებს, რომელთა რაოდენობამ 102 მიაღწია, თებერვალში 308 სხდომა ქონდა (ყოველ იაჩეიკას—სამი). განხილული იყო 884 საკითხი. მსჯელობის საგანი იყო უმთავრესათ ზოგად პოლიტიკური და პარტიულ ხასიათის საკითხები (677), შემდეგ საბჭოთა (97), პროფმოძრაობის (66) და სხვა.

ერთიან პარტიულ დღეს იაჩეიკებში წაკითხულ იქნა მოხსენებები შემდეგ თემებზე: რურის ამბები, წითელ არმიის 5 წლის თავი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლის თავი, ტფილისის პარტიულ კონფერენციის შედეგები და წითელი ფლოტი.

სარაიონო კომიტეტები ინსტრუქციებს აწოდებენ იაჩეიკებს, უკანასკნელნი კი ანგარიშს არდგენენ სარაიონო კომიტეტებში თავის მუშაობის შესახებ. იაჩეიკების მდივნების გამოწვევა სარაიონო კომიტეტში სისტემატიურათ ხდება და თვალსაჩინო შედეგებს იძლევა.

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

6 აპრილი.

ოქროს თუმანი	7,000
დოლარი	925
ლირა	710
გირვანქა სტერ.	3,925
საბჭოთა ნიშნები	15,75

ვალიუტის კურსი ბათომში.

5 აპრილი.

ოქროს თუმანი	6,862
ლირა	720—740
დოლარი	1,070
გირვანქა სტერ.	5,370

ვალიუტის კურსი ბაქოში.

5 აპრილი.

ოქროს თუმანი	6,700
ლირა	690
დოლარი	978
გირვანქა სტერ.	4,589

ჩვენი ვაჭრობა სპარსეთთან

(საუბარი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ამირაგოვთან)

ეხლახან დაბრუნდა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთიდან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ამირაგოვი, რომელმაც თავისი მოგზაურობის მიზნების და შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

მოგზაურობის მიზანი.

გამგზავრების უმთავრეს მიზანს შეადგენდა ბაზრის დათვალიერება და ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში, ესე იგი სპარსეთის ადერბეიჯანში, კანტორების რეორგანიზაცია და აგრეთვე მოლაპარაკების წარმოება მყიდველებთან საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების საწარმოებლად შერეულ საზოგადოებების დაარსების შესახებ.

ბაზრის მდგომარეობა.

ჩრდილო-დასავლეთი სპარსეთი მუდამ ილტვოდა საბჭოთა ფედერაციისაკენ. ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე ექსპორტ-იმპორტის ყველაზე დიდი პროცენტი ხვდებოდა რუსეთს. თითქმის მონოპოლიურ ნიადაგზე შედიოდა სპარსეთში ნავთის პროდუქტი მოთხოვნილების 90 პროცენტის რაოდენობით; შემდეგ შაქარი (70 პროცენტი). მინები (80 პროცენტი), ბამბის ქსოვილები და სხ.

ამგვარადვე გაზიდვის საქმეშიაც რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა. რუსეთს მოჰქონდა ბრინჯის და ბამბის თითქმის 100 პროცენტი, დაახლოებით 85 პროცენტი მატყლი, გამხმარი ხილი, 75 პროცენტი და სხვა.

იმპერიალისტური ომის შემდეგ მდგომარეობა სავსებით შეიცვალა და რუსეთმა დაუთმო თავისი პირველობა ინგლისს, რომელიც არ ხედავდა ბაზარზე ისეთ კონკურენტს, როგორიც რუსეთი იყო და ავსებდა თავისი საქონლით, უმთავრესად ინდოეთის ნაწარმოებით, ბაზარს. ბაზარზე ეკონომიური გავლენის განმტკიცების მიზნით ბომბეაში ინგლისის მიერ მოწყობილი იყო საქსოვი ფაბრიკები და შაქრის ქარხნები.

ამ ბაზრის რუსეთიდან ჩამოშორების და გაზიდვის შემცირების გამო (ინგლისელებს-კი შეაქვთ საქონელი და გააქვთ ვალიუტა და არა ადგილობრივი პროდუქტები) ძლიერ დაეცა სასოფლო მეურნეობა, რამაც დიდი გავლენა იქონია მცხოვრებთა სყიდვითი უნარიანობაზე, რაც იქიდან სჩანს, რომ ნავთის პროდუქტების მოხმარება მთელს სპარსეთში 4 მილ. ფუთიდან შემცირდა 1 მილ. ფუთამდე, ესე იგი, 4-ჯერ.

ბაზრის დაპყრობის შესაძლებლობა.

საბჭოთა ფედერაცია სარგებლობს ყოველგვარი უპირატესობით იმისათვის, რომ დაიკავოს უმთავრესი ადგილი სპარსეთის ვაჭრობაში. ამას ხელს უწყობს გეოგრაფიული მდგომარეობა, იაფი ფრახტი, შეტანილი საქონლის ნაცვლად სავაჭრო საქონელს გატანა და სხვა.

ამას გარდა ის ზოგიერთი ნავთი, შაქარი, მინები, მანუფაქტურა და სხვა., რომელთა გაზიდვა შეიძლება საბჭოთა ფედერაციას ჩრდ.-დასავლეთ-სპარსეთში. დაფარავს ბაზრის მოთხოვნილების მთელ 100 პროცენტს.

ნავთის პროდუქტების შეტანა უკვე ეხლაც ჰფარავს მოთხოვნილების 100 პროცენტს, ასევე იქნება შაქრის შეტანით, რითაც 23 წლის განმავლობაში შეიძლება განაღდებულ იქნეს 300—820 ათ. ფუთამდე, რამდენიმედ სხვაგვარ მდგომარეობაშია მანუფაქტურა. ბაზრები სავსეა ინგლისის, იტალიის და ბომბეის საქონლით. მაგრამ მიუხედავად ამისა რუსეთის ბამბის ქსოვილები დიდი რეპუტაციით სარგებლობენ ისე, რომ მცხოვრებლები ამჯობინებენ უფრო ძვირად შეიძინონ რუსული ქსოვილები, მანუფაქტურის ბაზრის მოპოვება უბრძოლველად არ შეიძლება.

შეიძლება ბაზრის დაპყრობის შესაძლებლობის საბუთად მოვიყვანოთ ის, რომ 20 დღის განმავლობაში, რომელიც მე სპარსეთში გავატარე, ტრაპიზონიდან სრულებით არ შემოსულა შაქარი, რომლითაც ჩვენ ეხლაც საკმაო კონკურენციას ვუწევთ უცხოეთს.

23 წლის განმავლობაში განზრახულია განაღდებულ იქნეს ჩრდ.-დასავლეთ სპარსეთში 150 ათას ფუთამდე შაქარი, 80 ათას ფუთამდე ნავთი და სხვ. საქონელი.

გაზიდვა.

საერთოდ ამ ბაზრიდან შეიძლება გაზიდული იქნეს ბამბა, ხალიჩები, ბრინჯი, გამხმარი ხილი, საზა, მელნის თხილი, ტყავები, ნაწლავები და ნუში. ამ ჟამად საბჭოთა ფედერაციაში იგზავნება უმთავრესად გამხმარი ხილი, ნუში, მცირე რაოდენობით ბამბა. მატყლი არ იგზავნება, რადგან შედარებით ძვირად იყიდება. ნაწლავებს მაღალ ფასებში იძენენ ამერიკელები.

პროდუქტების მარაგი.

23 წლის განმავლობაში ჩრდ.-დასავლეთ სპარსეთის ბაზრიდან შეიძლება გატანილი იქნეს ნახევარ მილიონ ფუთამდე საზა ამდენივე ქერამი და სხვა გამხმარი ხილი, 5 ათას ფუთამდე ნუში, ბამბა და სატრანზიტო ხალიჩების დიდი რაოდენობა.

შერეული საზოგადოებანი.

მყიდველები დიდი ყურადღებით გვეპყრობიან. ისინი ხალისით თანხმდებიან საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციის განვითარებისათვის კაპიტალის დაბანდებაზე.

განზრახულია 2 3 საზოგადოების დაარსება, მაგრამ პირველ ყოვლისა მოწყობილი იქნება თითქმის პარიტეტულ ნიადაგზე ერთი საზოგადოება, მეორე საზოგადოების დაარსების შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება.

ამას გარდა მყიდველები მოუთმენლად მოელიან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას და დიდ იმედებს ამყარებენ მასზე, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით ისინი მოელიან საქონლის გაცვლა გამოცვლის გაუმჯობესებას და ამიერ-კავკასიის საშუალებით ტრანზიტის საკითხის გადაჭრას.

საბჭოთა კონტორები სპარსეთის აზერბაიჯანში.

ამ ჟამად ჩრ.-დასავ.—სპარსეთში მუშაობს საბჭოთა რუსეთის 4 კანტორა: რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის, ცენტრო-კავშირის და სომხეთის კოოპერატივთა კავშირის. ოპერაციაში პირველი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, რომელსაც ეკუთვნის შაქრის და ნავთის გაზიდვის მონოპოლია. დანარჩენ კანტორებს გააქვთ სპარსეთიდან საზა და ნუში, ხოლო რუსული საქონლის შეზიდვა მათ მიერ დიდ გავლენას ვერ ახდენს. ახლო მომავალში ხსნის თავის განყოფილებას რუსეთის საფეიქრო სინდიკატი.

საბჭოთა ახალშენი

ჩვენი საბჭოთა ახალშენი შესდგება 1060 კაცისაგან, რომელთაც აქვთ საკუთარი საბჭოთა სახლი, კლუბი. კლუბში სწარმოებს კულტურული მუშაობა: იკითხება ლექციები, მოიპოვება სცენის მოყვარეთა დასი, სიმებიანი ორკესტრი. კლუბში დადიან არა მარტო საბჭოთა ახალშენის წევრები, არამედ სპარსეთის ინტელიგენტებიც.

დაშნაკელები

დაშნაკელები თავრიზში შეადგენენ 200 კაცს, ყველა ეს წვრილფეხა კაცები არიან, ხოლო მეთაურებმა გაიტაცეს ქონება და გაემგზავრენ ევროპაში. დარჩენილები ძლიერ უკმაყოფილონი არიან გაქცეული მეთაურებით და ისინი ცდილობენ საბჭოთა სომხეთში დაბრუნებას და მათ კიდეც მომმართეს მე გადამეცა ეს მათი სურვილი ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსათვის და პირობას იძლევიან, რომ დაბრუნების შემდეგ ისინი იქნებიან საბჭოთა სომხეთის ერთგული მუშაკები. უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაშნაკელები წინად სარგებლობდენ ამნისტიებით ადგილობრივ სომეხთა ახალშენისაგან, ეხლა ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენას. ადგილობრივი სომხების სიმპატიები სავსებით საბჭოთა ფედერაციის მხარეზეა.

მუშათა ცხოვრება

„წითელი კვერცხი“ თუ შრომის ბაირაღი

(სააღდგომო ფიქრები)

დიდ გუმბათიან ჩუქურთმებით მორთულ ტაძარში
შემოსილი სდგას „რომის პაპა“ და დიაკვანი...
აღარ გრძნობენ ისინი, რაც ხდება გარეთ, კარში...
იქ არის მათი „სამლოცველო—წმინდა აკვანი“...

ხალხით სავსეა „კოსტიოლ“ და გალავანი...
მჭმუნვარე ფიქრებს აქეთ-იქით ვახეტებ, ვახლი...
შორს არის ჩემი ბრძოლის გმირი და ფალავანი,
რომ დავშალო თვალთმაქცური სავაჭრო დახლი...

ისმის „ორღანი“, საკმლის ვარცალი, ეჟვანთ ჟღარუნი,
თითქოს ცირკია სათამაშო,—ან მაღაზია...
რკინის თეფშებზე ლითონების ხშირი წკარუნი,
გუშინ რომ ღირდა უზალთუნი—დღეს აბაზია!

თუ „მეუფესთან“ გულზე გაწევს ტვირთად ცოდვები,
უნდა აანთო კელეპტარი,—პაპაც დაკრთამო;
მერე თუნდ მოძმეს მიაყარე გუნდა-ლოდები,
წაართვი, სტანჯე, მშიერს ლუკმა არც კი აჭამო!

მლოცველნი ხატებს თვალ-მარგალიტს თვალში უყრიან,
„სამოთხეს“ აქვეს ჯოჯოხეთის მაგარი კლიტე...
მოჩვენებებით სიმართლეს ღრმა საფლავს უთხრიან...
ორი ათასჯერ დაუმარხავთ „იესო ქრისტე“!

ჰოი, მშრომელო, გაახილე მძინარე თვალი!
კმარა, აქამდინ რაც მოსტყუვდი, რამდენიც შერცხვი,
იწამე მხოლოდ სინამდვილე და მომავალი,
შრომის ბაირაღს დააშორე „წითელი კვერცხი!..“

მუშა—გიგო ხიჩუაშვილი.

ექსპედიციის მუშები და აღდგომის უქმეები.

მიმდინარე წლის 5 მარტს შესდგა ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა,—„რელიგიაზე და კომკავშირის აღდგომაზე“ ამხ. ელისაბედაშვილმა. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში კრება ერთხმად სწყვეტს უარჰყოს აღდგომის უქმეები და ამ დღეებში განაგრძოს თავისი ჩვეულებრივი მუშაობა.

ა. რ—ლი.

დახმარება ევროპის მუშებს.

ამა წლის 5 მარტს შესდგა საპნის და ზეთის ქარხნის მუშების საერთო კრება, რომელიც დაესწრო 39 მუშა.

ქიმიკოსთა პროფკავშირის მდივანმა ამხ. არაქელოვმა აუხსნა კრებას ევროპის ქიმიკოს მუშების აუტანელი მდგომარეობა და მოუწოდა ამხანაგებს, რათა მათ შეძლებისდაგვარად გაიღონ თავის წვლილი ევროპის მუშების სასარგებლოდ.

კრებამ დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ საკითხს და მან ერთხმად დაადგინა, შესწიროს თავისი დღიური ხელფასი აღნიშნულ მუშების სასარგებლოდ, რათა ამით გაამაგროს მათი რიგები ევროპის კაპიტალიზმის დასამხობად.

მუშა—კორ. დალაქიშვილი.

მელითონეები.

ამ დღეებში უმ.-საბ.-საბ. ლითონის განყოფილების კოლეგიამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით უნდა დაეთხოვებინათ სამსახურიდან შტატის შემცირების გამო რამოდენიმე მუშა-მოსამსახური. დასათხოვნების სია საკონფლიქტო კომისიის და ადგილობრივ ფაბკომიტეტის მიერ არ განხილულა, ამრიგათ მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა შემდეგი:

„ლითონის განყოფილების კოლეგია ვალდებულია წარუდგინოს ადგილობრივ ფაბკომების იმ მუშათა და მოსამსახურეთა სია, რომელთა შემცირება აუცილებელია. სიების მიღების შემდეგ რიგ-გარეშე მოწვეულ სხდომაზე ადგილობრივი ფაბ-კომი საკონფლიქტო კომისიასთან ერთად განიხილავს შესამოკლებელ პირებს პერსონალურად. ამ მუშაობის დასრულებისას ფაბ-კომი შტატ გარეშე დასატოვებელ პირების პერსონალურ სიას საბოლოო გასახილველად და დასამტკიცებლად გადაგზავნის საკონფლიქტო კომისიაში, რომლის დადგენილებაშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, თუ ეს დადგენილება ორივე მხარეთა შეთანხმებით მოხდა“, აი როგორ ზრუნავს კარგი ფაბკომი თავის მუშებზე.

მუშა მოხიარულე.

ს. მ. უ. საბჭოს ცენტრალური უნივერსალური საჭარო.

(იხ. გაზ. „კომუნისტი“-ის № 72—73).

(საპასუხო წერილი).

72 და 73 ნომერში გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებულია კორესპონდენტის წერილი, უცხოს ფსევდონიმით, ს. მ. უ. ს. ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მესამე მაღაზიის მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის შესახებ. გაერთიანებულმა ადგილობრივი კომიტეტი ს. მ. უ. საბჭოს სათბობ განყოფილების და ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისა კატეგორიულად ყალბ და ცრუ საბუთებზე.

პირველად შევეხებით სანიტარულ მდგომარეობას მაღაზიაში და ვიტყვით, რომ ჩვენი მაღაზია სხვა მაღაზიებთან შედარებით სუფთა არის, ივვება და სუფთავდება ყოველ დღე. მართალია მაღაზიაში ვენტილიატორი არ არის, მაგრამ მისი გაკეთება არც კი იყო საჭირო, რადგანაც ჰაერს გაატარებდა ზამთარში. გარდა ამისა თვით სანიტარული პირობები არ მოითხოვდა ამის გაკეთებას. ამას ვამოწმებთ ჩვენ და ამასვე დაამტკიცებენ შრომის და სანიტარულ-ტექნიკური ინსპექტორები. რაც შეეხება ნოქრებს, მათი რიცხვი სამუშაოსათვის სრულებით საკმარისია, მეტი კაცი შიგ დახლში ვერც კი დაეტევა. ადგილობრივი კომიტეტი ნოქრების შტატის შედგენის და დამტკიცების დროს ხელმძღვანელობდა ინსტრუქციებით და კავშირის დირექტივებით.

რაც შეეხება მაღაზიაში დაკარგულ საქონელს, ნოქრებისათვის ჯერ არავის არ გადაუხდევინებია. დაკარგულ საქონლის საფასური თუმცა მაღაზიაში მართლაც დაკარგვას ჰქონდა სამჯერ ადგილი. ადმინისტრაციამ ადგილობრივი კომიტეტის შუამდგომლობით მოსამსახურეებს აპატია მისი გადახდა.

მხოლოდ ადგილობრივმა კომიტეტმა მისცა წინადადება მაღაზიის ნოქრებს, რომ შემდეგში თუ დაიკარგა საქონელი მისი საფასური იქნება გადახდილი ნოქრების მიერ და განა სხვანაირად შეიძლება როდესაც მათ რამოდენიმე ათი მილიარდის საქონელი აბარიათ ყოველივე ნამცეცი მუშა პასუხის მგებელია თავის საქმეზე მუშაობის დროს და ნოქრებიც რა თქმა უნდა. გარდა ამისა არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მოსამსახურეებს თვეში ორჯელ ჯამაგირები არ მიეღოთ, 1—15-ში, რაც შეეხება ავანსების გაშვებას, ვაცხადებთ, რომ მუშა-მოსამსახურეთ მოთხოვნილების თანახმად ეძლეოდათ ასეთები დაუბრკოლებლად.

მაგალითად, 12 მოსამსახურეზე არის გაცემული ავანსად სახით 173,795,000 მანეთი.

გარდა ამისა გასულ წელს, ზაფხულში, იქაურ მუშა-მოსამსახურეებს დაურიგდათ საქონელი, განსაკუთრებით ფართლეული, მაშინდელი ფასებით, ნისიად. ეხლა კი ურიცხავენ ცოტ-ცოტათ მაშინდელი ფასებით გაზრდილ საქონელში, და ასე ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფასმა აიწია 400—500 პროცენტით. ეს თითქმის მუქთად დარიგებაა საქონლისა. ამის გარდა, ყოველ შაბათს აქაური მუშებისათვის იმართება ლექციები და მოხსენებები არსებობს კულტურული წრე, რომელიც მეცადინეობს კვირაში ორჯელ. კვირეში ერთჯერ, როგორც დაწესებულია პროფკავშირთა საბჭოს მიერ, ადგილობრივი კომიტეტი ღებულობს მუშა-მოსამსახურეებისათვის თეატრის ბილეთებს, რომელნიც განსაკუთრებით ურიგებს მუშებს და მცირე ჯამაგირის მიმღებ მოსამსახურეებს.

ადკომი.

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

სახალხო სასამართლოს დროებითმა სესიამ საჯარო სხდომაზე ამა წლის 31 მარტს გაარჩია შრომის ინსპექტორების მიერ რამოდენიმე მოქალაქეებისადმი წაყენებული ბრალდებები, რომელნიც უმთავრესათ შეიცავენ შრომის კანონების დარღვევას. მოგვყავს ბრალდებათა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მოკლე შინაარსი: საწყალსადუღნო სახელოსნოს პატრონის მოქ. **ვარლამ იაშვილის საქმე.**

ვარლამ იაშვილი თავის სახელოსნოში ამუშავებდა ყოველ დღიურად დილის 8 საათ საღამოს 5–6 საათამდე მცირე წლოვან (15 წლის) შალიკო ჯაფარიძეს და 13 წლის ახალგაზრდას ალექსანდრე დოლიძეს. ამათგან პირველს სასყიდლად აძლევდა 40,000 მანეთის, ხოლო მეორეს 30,000 მან. დღიურად. ორივე მიუღია სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე, მათთვის დასაზღვევ კასაში ფული არ შეჰქონდა და მუშებს არც საანგარიშო წიგნაკები ქონდათ ამის გამო სასამართლომ ბრალი დასდო მოქ. იაშვილს და სისხლის სამართლის კოდექსის 136 მუხლის ძალით იაშვილი 20 მან. ოქროთი დააჯარიმა.

ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონის ისააკ არუტუნის ძე მელიქიანცის საქმე.

მელიქიანცი სამკერვალოში ამუშავებდა 14 წლის ახალგაზრდას დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათ. ყოველ კვირეულად აძლევდა მხოლოდ 300 000 მანეთს, საანგარიშო წიგნაკი ბავშვისათვის არ მიუცია. სასამართლოს გამოძიებით დამტკიცდა, რომ მელიქიანცი ბავშვს დაწესებულ დროზე მეტს ამუშავებდა, ხოლო ხელფასს კი დაწესებულ მინიმუმზე ნაკლებს აძლევდა, რისთვისაც სასამართლომ სისხლ. სამ. კოდექსის 136 მ. ძალით მელიქიანცი 35 მანეთი ოქროთი დააჯარიმა.

ამიერ-კავკასიის შრომის განყოფილებათა ყრილობა

ამ. კავ. შრომ. განყოფილებათა ყრილობა გაიხსნება ქალ. ტფილისში, ამა წლის 12 აპრილს, დილის 10 საათზე.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს მინიჭებული აქვს აღნიშნულ ყრილობაზე 15 გადამწყვეტი ხმა, რომლიდან, თანახმად ა. კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმუნ. სამ კოლეგიის დადგენილებით, 10 გადამწყვეტი ხმა მიეცა პროვინციის შრომის განყოფილებათ, შემდეგის მიხედვით.

ბათომს—2, შრომის განყოფილების გამგეს და დამზღვევ კასის თავმჯდომარეს.

ქუთაისს—2, შრომის განყოფილების გამგეს და დამზ. კასის თავმჯდომარეს.

სოხუმს—1, შრომის განყოფილების გამგეს.

ფოთს—1, შრომის გან. გამგეს.

ჭიათურას—2, შრომის განყოფილების გამგესა და დამზღვევ კასის თავმჯდომარეს.

ტყიბულს—1, შრომის ინსპექტორს.

ბორჯომს—1, შრომის განყოფილების გამგეს.

ამასთანავე სათათბირო ხმით გამოწვეული არიან გორის შრომის განყოფილების გამგე, სიღნაღის შრომის ინსპექტორი, თელავის შრომის ინსპექტორი, ახალციხის შრომის ინსპექტორი, ბათომის შრომის ინსპექტორი და ბორჩალოს დამზღვევ კასის თავმჯდომარე.

ზემო-აღნიშნულ ყრილობის გამო რესპუბლიკას დამზღვევ კასათა ყრილობის მოწვევა ამა წლის 20 აპრილისათვის—უარყოფილ იქნა.

ლოლის შრაპნელი № 1

(სააღდგომო იუმორისტული ორგანო)

ამ სააღდგომოთ ადრე ვიწყე უკვე მზადება:
დავაცხვე პასკა ხუცებისთვის და მსუყე ტაბლა.
„მკვდრეთით აღდგომისს“ არ ეშველა გამოცხადება
და მონასტრებში დასცემია წმინდანებს დამბლა...

მეც სანოვაგე, „სააღდგომოთ“ განმზადებული:
წითელ კვერცხებით, პასკით, გოჭით, ღვინით და ძეხვით,
შემოვუარო უნდა, ვიდრე ვარ ვალდებული,
რომ არ მომიხდეს შემდეგ მისი გაზიდვა ნებვით!..

ყველას, იქნება, ნობათი ვერ ჩამოვახვედრო,
მეპატიება: სიძვირეა ხომ საარაკო!
მაშ, ახლა „ბოდიშს“ თავს დავადგა უკულმა ვედრო,
დრო არის,—თითონ სანოვაგე ვალაპარაკო!..

„პასკა“ პირველი.

პირველი „პასკა“—ცენტრალმასკომს
ამიერ-კავ—ის.
რომ მთელს მხარეში, ორის ნაცვლად,
თანხმობა მეყვეს!..

„პასკა“ მეორე.

მესამე „პასკა“—კომპარტიას
და მის ცეკას,
მეწველიკების რომ განაგრძობს
„თვისკენ“ რეკასა...

საგანგებო კომისიას.

არ შეიძლება რომ აქვე არ
ვახსენო „ჩეკა“-ც
პასკა რათ უნდა! მას ბანდიტობა
ეყოფა დღეკაც!..

კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს.

კომკავშირს ვუძღვნი ეკლესიის
ყველა გუმბათებს!
ვკითხავ: „სტყვა, შენი მეტი რამე
კიდევ თუ მმართებს“!

წითელს არმიას.

წითელს ჯარს ვუძღვნი ერთ წითელს
კვერცხს.
ვით ამოცანას,
რომ ახსნის ამას, რომ დაიპყრობს
ბრძოლით ქვეყანას!..

კავკასიის საგანგებო არმიას.

და მოწიწებით თვით მივართმევ
მასთან ოკასა.
პასკის წილ, სალამს, ქებას, სურვილს
თუ ქვსწრებ ოკასა!..

„სპარტაკის საზოგადოებას“.

თითო „წითელ კვერცხს“ დავურიგებ
ყველა „სპარტაკებს“,
თუმც ეგ სიუხვე, წინწინ ვიცი,
გამილატაკებს!...

ბითუმად.

უნდა ვიკითხო თითოთითოდ
ნარკომატები,
მივართვა „პასკა“, თითო „კვერცხიც“,
ზედ ნამატები!..

განათლების სახალხო კომისარიატს.

„ნარკომპროსს“ ცალკე გავუგზავნი
თეფშს მთელის გობით,
რომ „ფუტურისტებს“ ფრთა შეესხას
ასეთის ცნობით,
კოვზითა ხახარუნით რომ გაჭყლუპდეს
მთელი კუკია!..
„ახალციხიდგან მოვა ბუზი,
თავლი თუკია“!..

სურსათო სახალხო კომისარიატს.

„ნარკომპროდს“ ათი გადვუგზავნი
ქერის მარცვალი,
სოფლებში ჩემგან მის ფართალში
გადანაცვალი...

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

„ნარკომზდრავისთვის“ ქინაქინა
მაქვს ხუთი ფუნტი,
სნეულის წილ თუ ვინმე ხალხმა
არ უქნა „ულუნჩი“!..

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ვაი, კინაღამ დამავიწყდა
სულ „ნარკომზემი“!
მიწა მაქვს მისთვის ერთი მუჭა
გადააცემი.
თუ ხარბმა ვინმემ მოითხოვოს
მეტი ნორმაზე,
ვარი არ უთხრას ამ მიწიდგან
მის მიზომვაზე!

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს.

„უმაღ სამ-საბჭოს“ გავუგზავნე
მე რკინის კეტი.
თავში რომ ირტყას,—დაესხმება
იმისგან რელსი,
ინდუსტრიას კი წასაწევათ
არ უნდა მეტი!.

ქალაქის საბჭოს

ქალაქის საბჭოს ჩამოვუჭრი
ლორზე წწვის
და მთელს „გოქსბჭოს“ გავუგზავნი
„გორმილიციას“...

სახელმწიფო გამომცემლობას.

გამომცემლობას სახელმწიფოს,
ანუ „გოსიზდატს“
ვუბრუნებ ჩემგან ბევრ მიღებულს
ფულს, მილიონს ათს!..

განათლების მუშაკთა საპენსიო კასას.

იქვე „სოპენსსაც“ ვსთხოვ: პენსიას
წუ მომიმატებს,
რასაც რომ ვიღებ, უკვე ჰყოფნის
საკენკათ ბატებს!..

ქალაქის ტრამვაის.

არ შემიძლია დავივიწყო
ჩვენი ტრამვაის,
„კოლ-ლბარგოთ“, რომ გაჰკივის
ხან: „ვაი ვაი“ ს...

თეატრს.

„მელპომენესთვის“ მართლაც რომ
ძღვენი მიმქონდა,
მაგრამ გრიგოლმა იქ შემასწრო
შეძლებარი „ლონდა“!
„ნარკომპროსს“ „ასი“ კვლავ შეაძრო,
მამა უცხონდა!..

რკინის გზას.

რკინის გზის ხაზზე ქრთამს ადგილი
არ აქვს არსადა,
„ნატურ ფეშქაშმა“ რაც იმატა
ერთი ასადა!...

მრეწველობას

მთელს მრეწველობას მინდა ვუძღვნა
მაისის ვარდი!
მაგრამ მოვსწყვიტო? ვაჰ, თუ დასჭკნეს!
წამიღებს დარდი!..

გაზ. „მუშ“-ს.

„მუშის“ რედაქტორს გავუგზავნე
ერთ ქილა მაწონს
და თანაც მივსწერ: „შენი სიტყვა,
ძმაო, დიდათ მამწონს“!...

გაზ. „ტრიბუნას“.

ერთ პასკას, ერთ ძეხვს და წითელ
კვერცხს
ვუძღვნი „ტრიბუნას“
და ვლოცავ, რომ ის ქართველ ენაზე
„მშვენივრად“ ზრუნავს!..

გაზ. „ზარია ვოსტოკას“.

დიდ „პასკას“ ისე შევუგზავნი
„Заря Востока“-ს
რადგან იგი პურს ერთობ მეტს სჭამს,
ვიდრე თვით მოჰყავს!..

გაზ. „მუშას და გლეხს“ (ქუთაისურს).

„მუშა და გლეხის“ რედაქციას
ვუგზავნი სალამს,
ვერ შევუსრულე, რაც შევპირდი,
ვაი, ჩემს კალამს!..

გაზ. „პროლეტარულ ბრძოლას“
(მისი განახლების გამო)

გაზეთი „ბრძოლის“ შეჩერება
ჰგავდა შეცდომას,
მას ახლა უკვე მივულოცავ
მკვდრეთით აღდგომას!

გაზ. „კომუნისტს“.

და „კომუნისტის“ რედაქციას
თვისთვის ვესტუმრები,
ვკითხავ: „გონორარს მართლა მაძლევ
თუ მეხუმრები?!..

დანარჩენ გაზეთებს

„ლომისს“, „რუბიკონს“, „ასპარეზსა“,
„ეხომალდს“, „ილიონს“
ვუძღვნი თითეულს სუბსიდიათ
ოც-ოც ტრილიონს!..

„წითელი წიგნის“ გამომცემლობას

აბ, მომიშივდა „წითელ წიგნს“ და,
ვით ელოგა,
პროლეტმწერალთა ვუძღვენ
სრული ანტოლოგია.
ეს სულ ახალი კვლევა არის!
(„ძველიც“ ზოგია).
უბადლო, როგორც ხელოვნების
„აბდალოგია“!

მუშ. და კორესპონდენტებს

პასკის ნამცეცები დავუგზავნო
უნდა „მუშკორებს“,
რამდენი წერა შეუძლიათ
ამ ოჯახქორებს!..

„ცისფერ ყანწელ“ მგოსნებს

„ცისფერ ყანწელებს“ ვუძღვნი ღვინოს
რუმბით და გუდით:
პოეტიკაში ამის შემდეგ
მიეცის ძრა „ბუდეტ“!..

პროლეტარულ მგოსნებს

„პროლეტმგოსნების“ პარადს გავუხსნი,
მის „ათასეულს“
რაცდენს ვუშვერებ, პოლიტკომად
დავუნიშნავ „ჟოულს“!

მგოსან აბაშელს

აბაშელს აქვე მივულოცავ
მის აღდგომასა
არ მჯერა, რომ ის დამიწუნებს
ამ წრფელ შრომასა!..

იასამანს

აქვე არ ძალმიძს არ ვახსენო
„იასამანი“
მის ჩვენსკენ ნ ბიჯს ყველაფერი ჩემი
„დასტურლამა“-ნი!..

მუშათა ფაკულტეტებს

„მუშფაკებს“ ვნახავ და მიშენებულს
შევსძახებ რწმენით:
„მეცნიერების კერო, ძმებო,
„ლოლენით“ და „ლოლენით“!..

კომუნისტურ უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტს კომუნისტურს
ვუძღვნი ჩაქუჩებს,
„გრდემლი“ იქვე ჰყავს და მაშ ჰედავს
რათ შეუყუჩებს?!

სახელმწიფო უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტს კი—ნობათი
ფოცხვას და ცოცხის,
რათა იხვეჭის ზოგს და ზოგს კი...
მოსცხის და მოსცხის!..

საერთოდ სასწავლებლებს.

სხვა სასწავლებლებს გავუგზავნი
ცოცხალ ვირისს:
მუნ „კვერცხთა დებას“ მისგან შევსთხოვ
„დედა მარიამს“!..

აჭარას და ბათომს.

„აჭარისტანს“ და ქალაქ ბათომს
კვლავ ვუძღვნი სალამს:
„ვბრუნდები თქვენსკენ და მოვათრევ
ბატის ფრთის კალამს!..
ვიცი, „ზოგიერთს“ ეწყინება
ჩემი მანდ მოსვლა,
მაგრამ ასეთებს არ მივხედავ,
თუნდ მექნას მოკვლა!..

„ერთიც“ ევროპისაკენ სტამბოლის გზით.

ბოლოს ევროპის წრფელს, თუ ვერაგ
დიპლომატიას
მივართმევ ძღვენს და სურვილების
ასეთ ხარტიას:
ჩიჩერინს—ლაფშას!
ხმალს—ქემალ ფაშას!
პუანკარეს—ზაკს!
ბონარ-ლოუს—„შავს“!
კერზონს—კომპასებს!
მუსოლინის—მონპანსიეს!
ქასპარსა—„ხოშებს“!
ებერტსა—ქოშებს!
კუნოს—კალოშებს!
სტინესს კი—გროშებს...
პროლეტარიატს ევროპისას—
ხელთ წითელ დროშებს!.

ჟინისიმე.

ქრონიკა

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **მევენახეთა ყრილობა.** 13 აპრილს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება „იმერეთთან“ ერთად იწვევს ზემო იმერეთის მევენახეთა ყრილობას ქ. ზესტაფონში.

ყრილობის შემადგენლობა. ყრილობას დაესწრებიან: 1) სოფლის აღმასკომის თითო წარმომადგენელი; 2) თითო წარმომადგენელნი ყოველი სოფლიდან, სადაც მევენახეობას მისდევენ; 3) მმართველი ორგანოები არსებულ მევენახეთა კოოპერატიულ დაწესებულებებიდან; 4) თითო წარმომადგენელნი სამაზრო აღმასკომისა, 5) თითო წარმომადგენელი სამაზრო კოოპერატივთა კავშირისა და სხვ., 6) სპეციალისტ მევენახენი განსაკუთრებულ მოწვევით.

ყრილობის პროგრამა: 1) ზემო იმერეთის მევენახეობის მდგომარეობა და მისი საჭიროებანი; 2) ზოგიერთი შეცდომები ზემო იმერეთის ვენახების დამუშავება-მოვლაში და წამლობაში; 3) მევენახეთა კოოპერატივის შექმნა და მათი კონსტრუქცია; 4) კოოპერატიულ ნიადაგზე მწარმოებლების შეერთება როგორც უმთავრესი ფაქტორი არსებულ პირობებში იმერულ ღვინოების გაუმჯობესების და ბაზრის მოპოების საქმეში; 5) სპეციალურ სასწავლებლის დაარსება მეღვინეობისა და მევენახეობისათვის.

განათლების კომისარიატში.

— **მათხოჯის სახალხო სახლი.** განათლების კომისარიატის დახმარებით, სოფ. მათხოჯში ადგილობრივი მცხოვრებნი აგებენ სახალხო სახლს, რომელშიაც მოთავსებული იქნება 8 წლიანი მთლიანი შრომის სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, აფთიაქი და თეატრი. აღმშენებლობითი საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახ. განათ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა ამ მიზნისათვის გაღებული იქნეს 400 მილიონი მან. აღნიშნულ შენობისათვის საჭირო მასალა უკვე მზათაა.

— **მიწადმოქმედების კომისარიატის დახმარება.** მათხოჯის სახ. აღმშენებლობითი საბჭოს მიწადმოქმედების კომისარიატმა დაუთმო უფასოდ 300 ძირი ხე.

ფინანსთა კომისარიატში

— **სალერბო გადასახადი.** სალერბო გადასახადი მომატებულ იქნა შემდეგი სახით: ნებართვის გამოტანა—200 ათასი მან. ნოტარიულ ხასიათის განცხადება—20 ათასი მან. უძრავ მოძრავი ქონების შესახებ მოწმობები, პირადობის და სხ. 100 ათასი მან.

ქალაქის აღმასკომში.

— **ქალაქის ბანკი.** ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ გამოიმუშავა შერეული ტიპის ქალაქის სააქციონერო ბანკის დებულება. დებულება გადაეცა აღმასკომის პლენუმს, რომლის დამტკიცების შემდეგ გადაეცემა ფინანსთა სახ. კომისარიატს საბოლოო დასკვნისათვის. ბანკის ძირითადი თანხა იქნება 25000 ათასი მან. ოქროთი.

ა.-კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში.

— **დახმარება პენსიონერებს.** ვინაიდან მცირე დახმარებას ღებულობენ შრომის უნარ დაკარგული რკინის გზის მუშები—რ. კ. კ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის შრომის კომ. წინაშე, მიეცეს 34 ფუთი ფქვილი დღიურათ ხსენებულ მუშების დასახმარებლად.

კოოპერაცია.

— **სამხედრო კოოპერატივის წარმომადგენელთა ყრილობა.** 17 აპრილს ტფილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის სამხედრო კოოპერატივების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობა გაარჩევს სხვათა შორის საკითხს: ამიერ-კავკასიის სამხედრო კოოპერატივთა კავშირის შექმნის შესახებ.

წევრად ჩაწერა. სასოფლო-სამეურნეო „შრომ-კავშირი“ გამგეობამ დაადგინა ჩაეწეროს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრად.

რკინის გზაზე.

— **მარილი** რკინის გზის მუშათა კოოპერატივი ამ დღეებში მიიღებს 27 ფუთ საუკეთესო ხარისხის თეთრ მარილს, რომელიც განაწილებული იქნება, როგორც კოოპ. განყოფილებებსა ისე დანარჩენ კოოპერატივებს შორის.

— **ფქვილი და ხორბალი რკინის გზის მუშებს.** ფოთის, ქუთაისის და სამტრედიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს რიცხვით 1145 კაცს ამიერ-კავკ. რკინის გზების მუშათა კოოპერატივმა მარტის განმავლობაში დაურიგა სულ ფქვილი და ხორბალი 925,900,000 მან. ღირებულების.

სხვა და სხვა.

— **სამოქალაქო გადასახადი.** მარტის განმავლობაში დასრულდა საშემოსავლო გადასახადის გაწერა 1922 წლისათვის და ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა საერთო—სამოქალაქო გადასახადი გატარებისათვის, რომლის აკრეფა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

— **სარეწაო და საშემოსავლო გადასახადი 1923 წ.** სარეწაო და საშემოსავლო გადასახადის გაწერა დაიწყება სამოქალაქო გადასახადის დამთავრების შემდეგ.

შემთხვევები.

— **მოქალაქეთა გაქურდვა.** საპიორნის შესახ. № 4. ვიღაც ბოროტმოქმედებმა გაქურდეს ელენე მიხეილის ასულის ჩუმაკოვის ბეღელი საიდანაც წაიღეს საცვლები, სანოვაგე და სხვა საოჯახო ნივთები 200 მილ. ღირებული.

— მიხეილის ქ. № 65. ვიღაც ბოროტმოქმედმა გასტეხა მესროპ ასმარიანის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთეულობა, 700 მილ. ღირებული.

— **პატიმრის გაქცევა.** 5 აპრილს საგუშაგოდან, ქალაქის აღმასკომის ბაღიდან გაიქცა პატიმარი ნიკოლოზ მედვედიევი. მიღებულია ზომები მის შესაპყრობად.

ხელოვნება

— **სანდრო ეულის ლექსების მეორე ტომი.** გამოვიდა პროლეტარულ პოეტის სანდრო ეულის ლექსების მეორე ტომი „ქარხნის ტრიუმფი“. წიგნს დართული აქვს რაჟდენ კალაძის მოკლე კრიტიკული განხილვა. წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ღირს ორი აბაზი ოქროთი.

— **სახალხო სახლი.** 9 აპრილს სახალხო სახლში გაიმართება ალექსანდრე ბადრიძეს საღამო, წარმოდგენილი იქნება ირეთელის პიესა „ქრისტინე“ შ. დადიანის რეჟისორობით. მონაწილეობს დასის საუკეთესო ძალები.

— **ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ.** დღეს, წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში გაიმართება სარწმუნოების საწინააღმდეგო საღამო წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე შარჟი: „მღვდელ დიაკვანი“. ხოლო რუსულ ენაზე „სამი ქრისტე“. დასასრულ გაიმართება კონცერტი. შესვლა პროფკავშირის წევრებისათვის და წითელ არმიელებისათვის—უფასოა.

— **ნაძალადევის თეატრი.** კვირას, 1 აპრილს, ნაძალადევის თეატრის მუშათა დასმა 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ გაუმართა საგანგებო საღამო შალვა დადიანს. თეატრი სავსე იყო მუშებით.

— **კინო თეატრი წითელ არმიელებისათვის.** წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბთან დაარსდა კინო-თეატრი, რომელშიდაც წითელ-არმიელებს აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს სათანადო ახსნა-განმარტებით.

— **სახალხო კონცერტი.** ნაძალადევის თეატრში. ალ. მასურაძის მომღერალთა გუნდი აპრილის შუა რიცხვებში გამართავს დიდ სახალხო კონცერტს 4 განყოფილებათ შინაარსიანი პროგრამით.

პროვინციაში

ქ. სურამის მუშათა კლუბი

შარშან ენკენისთვიდან სურამის მუშათა თეატრში დაარსდა ადგილობრივ მუშათა კლუბის ზოგიერთ წევრებიდან მუდმივ ქართული დრამატიული დასი. 7 თვე იქნება, რაც ეს დასი მუშაობას შეუდგა და სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს კვირაში ორჯერ. დასის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა ძველ დროიდან სცენაზე მოთამაშე ამხ. სეთა მელიქიშვილი. ამხ. მელიქიშვილი მოწვევისთანავე შეუდგა ენერგიულ მუშაობას და თეატრის საქმე დააყენა სასურველ სიმაღლეზე.

დღეს დასი სრულიად დამაკმაყოფილებლად და პროვინციისათვის საკმაოდ მშვენივრათ ასრულებს თავის მოვალეობას. დასი განსაკუთრებით სდგამს სოციალურ რევოლიუციონურ ხასიათების პიესებს. თითქმის ყოველ წარმოდგენაზე თეატრი სავსეა ხალხით.

სცენაზე მოთამაშეთა შორის, მელიქიშვილის გარდა, ღირს აღსანიშნავია და საჭიროა გახსენება მეორე პიროვნების, რომელიც ბუნებას დიდი ნიჭით და უნარით დაუჯილდოვებია სცენაზე სათამაშოთ; იმას თითქმის არცერთი პიესა არ გამოუშვია, რომ თავის მონაწილეობა არ მიეღო და თავის ყოველი მხრით მიზან შეწონილ თამაშობით, სუფთა და მკაფიო ხმით არ დაეტკბო სურამის საზოგადოება.

ეს გახლავთ ახალგაზრდა ქალი—ტეხნიკურათ სცენისათვის საკმაოდ მომზადებული—ნინა ერისთავი.

წასულ კვირას, 25 ამა მარტს გაიმართა მუშათა თეატრში ნინა ერისთავის ბენეფისი. მიუხედავათ წვიმებისა, თეატრი სავსე იყო ხალხით. მიართვეს მრავალი საჩუქარი.

ამ დღეს შემოვიდა არაჩვეულებრივი შემოსავალი. 13 მილიონი მანეთი. აქედან წმინდა შემოსავალი იყო 9 მილიონი.

საკმაო კარგად თამაშობენ სცენაზე აგრეთვე ამხ. შმაონ დათებოვი, ალექსანდრე ჩიკვაიძე, იაშვილი და ვანო დიდებულიძე.

ყველა ესენი დიდ მადლობის ღირსი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის არავითარ მატერიალურ დახმარებას არ ღებულობენ სცენიდან, მაინც კეთილ-სინდისიერად განაგრძობენ, მუშათა საქმის სიყვარულით აღჭურვილნი, სცენაზე მუშაობას, მუშების და გლეხების სამსახურს.

კოტე ქურდეშანიძე.

რაჭა

ანტირელიგიური კამპანია რაჭის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. მღვდლების მატყუარობას მოხუცებულების თვალშიაც კი აეხადა ფარდა. ხალხის მოთხოვნით უკვე დაკეტილია 90 პროც. ეკლესიებისა: ზოგიერთი მათგანის მოწყობა კლუბებათ უკვე დაიწყო.

ქალაქ ონის კლუბის მოწყობა (ყოფილი ბერუჩევის შენობაში) უკვე დამთავრდა. კლუბთან მოთავსებულია წიგნთ-საცავ-სამკითხველო და თეატრი. ამას გარდა მოწყობილია ორი საშუალო ზომის ოთახები პოლიტიკური და სხვა ჯგუფების სამეცადინოთ. კლუბს ყავს თავისი გამგეობა, რომელიც მუშაობს პოლიტ განათლებასთან ერთად. გამგეობამ დაარსა სექციები: სათეატრო, ისტორიის, ჰიგიენის და სალიტერატურო. სათეატრო სექცია შეუდგა თავის მუშაობას და რამდენიმე პიესა უკვე ჩატარა. 28 მარტიდან დაიწყო ისტორიაში, ჰიგიენაში და ლიტერატურაში მეცადინეობა, ეს მეცადინეობა ჯერ უფრო ლექციურია: სამი ლექცია უკვე ჩატარდა: ჭლექი და მასთან ბრძოლა და ჭლექი კერძოთ რაჭაში (წაიკითხა ექ. ქ. ჯაფარიძემ), მეორე—ძველი საბერძნეთის ფილოსოფია (წაიკითხა ტეხნიკუმის დირექტორმა გ. კვიტაშვილმა,) მესამე საქართველოს მე-19 საუკუნის ლიტერატურა (წაიკითხა სტ. ს. რეხვიაშვილმა) ლექციებს ხალხი ბევრი დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა. ჯგუფობრივი მეცადინეობა ჯერ არ დაწყებულა; ამგვარ მეცადინეობას დავიწყებთ ზაფხულისთვის, როდესაც ძალები მოგვემატება საგარეშოთ მოსული ამხანაგებით.

ქვაწმინდელი.

მენშევიკური ცეკას ჭორები

(წერილი რედაქციის მიმართ).

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

როგორც გადმომცეს „ს. ს.-დ. მ. პ.“ ცეკას მიერ გამოცემულ არალეგალურ ფურცელში სათაურით: „რა ხდება ჩეკას ჯურღმულებში“ აწერილია სხვათა შორის თითქოს ჩემი წამება ტფილისის ჩეკაში; ნათქვამია, თითქოს მე მესროლეს რევოლვერი, მომიჭირეს მუხრუჭი და გონება დაკარგულს დამისახელებინეს ბრალიანი და უბრალო, დამეხატოს რაღაც სურათი აჯანყების და სხვ., ხოლო ამის შემდეგ დაიწყოთ სენაკის მაზრის წმენდა.

ვაცხადებ: თბილისის ჩეკაში ფიზიკურ წამებას ჩემს წინააღმდეგ ადგილი არ ქონია და არც არავინ დამისახელებია. და რომ ეს ასეა, სჩანს შემდეგი ფაქტიური ცნობებიდან: სენაკის მაზრაში დაპატიმრებები დაიწყო იანვრის დამლევს, მე დამაპატიმრეს 4 თებერვალს. დღიდან ჩემი დაპატიმრებისა, ვიდრე თბილისში გადაყვანამდე, დაპატიმრებები გრძელდებოდა. უკანასკნელად სენაკიდან მეტეხში გადმოყვანილი პოლიტიკური პატიმრები დაპატიმრებული არიან ჩემი თბილისში ჩამოყვანის ღამეს და ადრე. აქედან ცხადია, რომ „მაზრის წმენდას“ არავითარი კავშირი არა აქვს ჩემს გამოძიებასთან, რომლის წარმოების პროცესში ჩემ მიმართ ხსენებულ დაპატიმრებულებზე არ ქონია ადგილი რაიმე შეკითხვებს, ვინაიდან ისინი მოყოლილი არიან საერთო მასიურ დაპატიმრებებში და არა ჩემი გამოისობით, როგორც ამას ცეკა იუწყება.

აკაკი კალანდარიშვილი.

6 აპრილი 1923 წელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება შაბათს, 7 აპრილს დღის 11 საათზე იწვევს პირველი მაისის დღესასწაულის გამტარებელი კომისიის თათბირს.

მოწვეულნი არიან კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის, პროფკავშირთა საბჭოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების განყოფილების, საკომენდანტოს, ტფილისის აღმასკომის განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები და რაიონული საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგები

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ესსენი.

ს. კ. პ. ც. კ. სააგიტ. საპრ. გან.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4-ე რაიკომი აცხადებს, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლეში) 2 აპრილიდან დაიწყება მთელ რიგ ლექციების კითხვა მსოფლიო-წარმოშობის და ანატომიის შესახებ.

ლექციები მსოფლიოს წარმოშობის შესახებ წაკითხული იქნება ორშაბათობით კლუბის დიდ ან პატარა დარბაზში საღამოს 8 საათზე. ლექციები ანატომიიდან—ხუთშაბათობით კლუბის დიდ დარბაზში საღამოს 8 საათზე.

პოლიტიკური და მარქსისტული წრეების ყველა მსმენელები ვალდებული არიან დაესწრონ ამ ლექციებზე. შესვლა უფასოა ყველასათვის.

მე-4-ე რაიონის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: არუსტანოვი.

პროფესიონალური

— 9 აპრილს, საღამოს 8 საათზე ცენტრალური მუშათა კლუბის სათეატრო დარბაზში იმართება სპექტაკლი: „მონების რელიგია“. სპექტაკლის წინ მოხსენება თემაზე: „რელიგია და მეცნიერება“.

— მეორე რაიონის მუშებს და ცენტრალური მუშათა კლუბის წევრებს ბილეთების მიღება შეუძლიათ ცენტრალური მუშათა კლუბის გამგესთან 6—7 აპრილს საღამოს 6 საათიდან უფასოთ.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე: იუსტინე ანტონის ასული, შვილები: დავით, თინა, ელენე, ვასილი, სიძე: იონა ვაკელი (მეგრელიძე) აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ

სამსონ ექვთიმეს ძე მურვანიძეს

გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდება შაბათს, 7 აპრილს 4 საათზე. გამოსვენება პეტრე დიდის ქ. № 18 ვერის (ნიკოლოზის სასაფლაოზე)

კრ. 305. კრ. 2—2

უმოწყალოდ დამწუხრებულნი ქმარი ივანე ლევანის ძე ნინიძე, ძმა ალექსი ნიკოლოზის ძე ამილახვარი ოჯახობით, და ტერეზა ნიკოლოზის ასული ქმარი ივანე გრიგორის ძე ჯავახოვით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი

ანნა ნიკოლოზის ასული ნინიძის

უდროვოთ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. ბინა ბარიატინის ჩიხი № 3 ცხედრის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში 7 აპრილს (შაბათს) 11 საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 496 2—2

საბჭოთა სამართლის მაუწყებელი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის

განცხადება

ხუთშაბათს აპრილის 5-ს გამოვიდა № 1 ჟურნალ „საბჭოთა სამართლის მაუწყებელი“-სა.

„მაუწყებლის“ მთავარი მიზანია მუდმივ და ფართოდ გააშუქოს ის პრაქტიკული იურიდიული საკითხი, რომელიც საბჭოთა მუშაკს შეხვდება ყოველდღიურ მუშაობაში.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, უკეთუ საბჭოთა მუშაკები თავისი წერილით, კორესპონდენციით, შეკითხვით, შენიშვნით და სხვ. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალში.

„საბჭოთა სამართლის მაუწყებელი“

მისცემს პასუხსა და განმარტებას სამართლის და საბჭოთა კანონმდებლობის საკითხების შესახებ.

ჟურნალის ფასი ხელმისაწვდომია.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სასამართლოს ქ. № 32.

№ 506 1—1.

სახლი

ბაღით და თავისუფალი ეზოთი. ვისაც სურს ჩქარა გაჰყიდოს ან შეიძინოს ხელსაყრელ პირობებში, მიმართეთ დავიდოვის ქუჩ. № 8, ბინა 2, გოლოვინის ქუჩის გვერდით.

(499—5—1)

ქიზიყ-კახეთის აქციონერული საზოგადოების „ალზიორა“-ს გამგეობა

აცხადებს, რომ წინანდელი გამგეობისაგან 1923 წ. 11 მარტამდე გაცემული რწმუნებები სხვადასხვა პირებზე გაუქმებულია

494 1—1 გამგეობა.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებული საქართველოში

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ ორშაბათს, 9 აპრილს რესპუბლიკის ყველა ხაზინები და სახელმწიფო ბანკი აწარმოებს

გადაცვლითი ოპერაციას ქართული ბონებისას

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებზე ჩვეულებრივი წესით.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებული

№ 306 1—1 საქართველოში **ბიბინეიშვილი.**

დავკარგე ქრისტეფორე იოსების ძე კაპანაძის სახელზე შ. ნდილის აღმასკომის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა და მეორე კომისარიატის მიერ გაცემული სამხედრო საარიცხო წიგნაკი და სხვა დოკუმენტები. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (505 1—1)

დავკარგე ალექსანდრე პოლოსის ძე გასპაროვის სახელზე მბეჭდავ მუშაკთა სექციის მიერ გაცემული კავშირის წიგნაკი № 3501. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1—1

დავკარგე ბესარიონ ვაჩიბერიძის სახელზე გაცემული ვერის გასავალის სახლის წიგნი № 29. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (507 1—1)

რეზინის ტრესტი

ტფილისის განყოფილება

საბითუმო-საწვრილმანო ვაჭრობა

სოლოლაკის ქ., სახლი № 4 ტელეფ. 4—86.

საწყობებში ყოველთვის გვაქვს რეზინის ნაწარმოებთა დიდი პარტია.

ამ დღეებში ველით ავტომობილის, ველოსიპედის და ეტლის შინების დიდ პარტიას.

სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერატივებს მიეცემათ შეღავათი.

კრ. 302 2—2

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

აცხადებს, რომ კვირას, 15 აპრილს, დილის 11 საათზე საავადმყოფოს შენობაში გაიმართება საბოლოო

საჯარო ვაჭრობა

ქონების, რომელიც დარჩენილია უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში საავადმყოფოში მომკვდარ მოქალაქეების. ქონება შესდგება საათების, ბეჭდებისა და სხვა ოქროსი და ვერცხლის ფასეულ საგნებისაგან.

ცნობების მიღება შესაძლებელია ყოველ დღე, სამუშაო დროს საავადმყოფოს კანტორაში და საგნების დათვალიერება—საჯარო ვაჭრობის დაწყების წინ.

კრ. 304 1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენით დიაგნოზი

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვა

ნილობით. ტფილისი, კოლოგივის ქ. № 20. (501—25—3)

რ. ს. ფ. ს. რ. ს. ფ. ჰ. ს.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი

ტფილისის განყოფილება

(ტფილისი სომხური ბაზარი) № 6, ტელ. 4—35.

აწოდებს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს სინდიკატში შესულ ყველა ტრესტების მოსკოვის ახლად მიღებულ მანუფაქტურას, როგორიც არის თეთრეულის, ბამბის, მატყლის, ტრიკოტაჟის საქონელი და ცხვირსახოცები, მაუდი კოჭის, ტომრებისა და საჩვევი მასალები, თოკი, შპაგატი და სხვა სახელმწიფო ორგანოების და კოოპერატივებს ეძლევათ განსაკუთრებული შეღავათები.

საქონლები იყიდება ოქროს ფულზე მისამართი დეპეშით: ტფილისი—საფეიქრო სინდიკატი.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში ქ. აბიანი.

(კრ. 303—1—1)

საქ. ს. ს. რეს. ჯანმრთელობის კომისარიატი

კურორტების მთავარი სამმართველო

საქართველოს კურორტების აღსადგენათ მომავალ სარემონტო-სატეხნიკო მუშაობისა და სამრეწველო წარმოებათა ექსპლოატაციისთვის საჭიროა შემდეგი მასალა: რკინეულობა სხვა და სხვა, საღებავი, წყალსადენის და ელექტრონის მოწყობილობა, ინვენტარი სანატორიუმებისა და სამკურნალოებისათვის და სხვ. აგრეთვე მთავარ საკურორტო სამმართველოში იყიდება:

1. ბორჯომის წყალი, 2. ნახშირმჟავე გაზი (CO_2)

3. მინის ჭურჭელი, 4. ტყის მასალა დაუხერხავი და დახერხილი.

მიწოდებით და შეკვეთით შეიძლება მიმართოთ მთავარ საკურორტო სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილებაში (საპიორ. ქ. № 30, ტელეფონი № 4-08.) (კრ. 298—8—3)

[illegible]